ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 29 დეკემბერი, 2016 №309 (7234) ფასი: 50 თეთრი

## ია ანთაძე: „ტელეკომპანიების გაერთიანება საზოგადოებისთვის ცუდია“

„მთელი აქცენტი საზოგადოებრივ მაუწყებელზე უნდა გადავიდეს“

გვ.3



29 დეკემბრიდან

ჰანს კრისტიან ანდერსენი

პატარა სირინოზი

მაგარი ყდა, 64 ფერადი გვერდი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# „კვირიკაშვილის შეცვლა ახლა არ შეიძლება“

გვ.4



აშკარად გამოაცოცხლა „ქართული ოცნების“ მუშაობის სტილი კვირიკაშვილის შემოსვლამ და არც ისე დიდი ხანია, რაც შემოსულია. მან შემოიყვანა ახალი სახეები „ოცნების“ რიგებში. დასახა ოთხპუნქტიანი გეგმა.
აქამდე გეგმაზე ლაპარაკი არ იყო, აქამდე ამდენი ახალი სახე არ იყო და საუბარი იყო მხოლოდ ნეპოტიზმზე, ნათესავების და მეგობრების შემოყვანაზე. მან კი მოიყვანა სახეები, რომლებსაც კავშირი არ აქვთ კვირიკაშვილთან და მის პოლიტიკას კი არ ატარებენ, უბრალოდ, მისი თანამოაზრეები არიან.



გვ.2



## თინათინ ბოკუჩავა: „სამწუხაროა, თუ ნაციონალების მეორე ფრთა ყრილობაში მონაწილეობას არ მიიღებს“

„პარტია დგას დელეგატებზე და მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილებაც“

## ხაჯიმბა: „გალის მოსახლეობას ბინადრობის მოწმობები უნდა დავურიგოთ“

გვ.2



„ენგურზე დარჩება ერთადერთი საკონტროლო-გამშვები პუნქტი, რომელიც მკაცრად გაკონტროლდება“

ISSN 1987-9385

## ირაკლი რუხაძე: „მაესტრო“ წამგებიანი ტელევიზიაა“

გვ.3



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# თინათინ ბოკუჩავა: „სამწუხაროა, თუ ნაციონალების მეორე ფრთა ყრილობაში მონაწილეობას არ მიიღებს“

## „პარტია დგას დელეგატებზე და მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილებაც“

ნათია ხურცილავა

ნაციონალური მოძრაობის წევრი, პარლამენტის დეპუტატი თინათინ ბოკუჩავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ 20 იანვარს ნაციონალური მოძრაობის ყრილობა აუცილებლად ჩატარდება და ყრილობაზე დელეგატები მიიღებენ გადაწყვეტილებას, უნდა ჰყავდეს თუ არა პარტიას თავმჯდომარე.



***– ნაციონალური მოძრაობის ყრილობას, რომელიც 20 იანვარს არის დაგეგმილი, პარტიის მეორე ნაწილი არალეგიტიმურად მიიჩნევს. მეტიც, დავით დარჩიაშვილი არ გამორიცხავს, რომ ყრილობის ლიგიტიმურობის საკითხზე დავა სასამართლოშიც გაგრძელდეს. შეიძლება მოვლენები ასე განვითარდეს?***

– ყრილობა ჩატარდება 20 იანვარს, როგორც ეს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინა საბჭოს სხდომაზე გადაწყდა და ამაში სავსებით დარწმუნებული ვარ. ეს გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს პარტიის პოლიტსაბჭოს. ასევე უკვე ცნობილია, რომ საორგანიზაციო კომისია უკვე არსებობს და ამზადებს ყრილობას ჩასატარებლად. საორგანიზაციო კომისია 6 წევრისგან შედგება. შესაბამისად, ის არის უფლებამოსილი, რომ მუშაობაც დაიწყოს. უკვე იყო პირველი სხდომაც და ამის შესახებ ინფორმაცია თავად საორგანიზაციო კომისიის წევრებმა გააკეთეს.

***– თუმცა, ამ კომისიის ლეგიტიმურობის საკითხსაც აყენებენ თქვენი კოლეგები ეჭვქვეშ.***

– ვერანაირ მიზეზს მე ვერ ვხედავ, რომ ჩემს კოლეგას ასეთი განცხადება გაეკეთებინა, ძალიან ვწუხვარ, თუ ის ასე ფიქრობს, მით უფრო არსებულ მოცემულობაში, როდესაც კარგად ვიცით, თუ ვინ აკონტროლებს სასამართლო სისტემას. ასეთ პრინციპულ საკითხზე ამ სასამართლოს სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე არ უმსჯელია, ის ყოველთვის პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე იღებს გადაწყვეტილებებს. ამ სასამართლოსკენ თითის გაშვერა, საკითხის სამართლებრივად მოგვარების გზა ცოტა კომიკური მგონია. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მე მაინც იმედი მაქვს, რომ ყველაფერზე შევთანხმდებით და ჩავატარებთ მაღალ დონეზე ორგანიზებულ, დემოკრატიულ, ევროპულ ყრილობას.

***– რა ევალება ამ კომისიას?***

– მან უნდა განსაზღვროს დელეგატების მოწვევის საკითხი, ისევე, როგორც სხვა ტექნიკური, საორგანიზაციო საკითხები. როგორ არის ეს კომისია არალეგიტიმური, როდესაც პოლიტსაბჭოზე გადაწყდა, რომ შეიქმნებოდა საორგანიზაციო კომისია. პოლიტსაბჭომ მიიღო წესი, სადაც წერია, რომ პოლიტსაბჭოს წევრს აქვს უფლება, დაასახელოს კომისიის 1 წევრი, პოლიტსაბჭოს უკვე 30-მა წევრმა დაასახელა კომისიის 6 წევრი. დანარჩენებსაც შეუძლიათ დაასახელონ კიდევ 5 წევრი. თუ არ დაასახელებენ საორგანიზაციო კომისიის წევრს, ეს მათი უფლებაა, მაგრამ ეს იქნება ძალიან სამწუხარო. მე, როგორც მმართველი ორგანოს წარმომადგენელს, ძალიან მენდომებოდა, რომ დამესახელებინა ასეთი წევრი, რომელიც მოამზადებდა ჩვენი პარტიის ყრილობას.

***– ვინ არიან ეს ადამიანები, ვინც ყრილობას ამზადებენ? იცნობს მათ საზოგადოება?***

– რა თქმა უნდა, საზოგადოება მათ კარგად იცნობს. ეს ადამიანები ჩვენი პარტიის აქტიური წევრები არიან – ნინო კალანდაძე, დავით კირკიტაძე, ეკა ხერხეულიძე და სხვები, რომლებიც ამზადებენ ყრილობას.

***– ყრილობაზე რამდენი დელეგატი იქნება მოწვეული?***

– ყრილობაზე მოწვეული უნდა იყოს 7 ათასი დელეგატი. ესენი იქნებიან ადამიანები, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით შეირჩევიან.

***– კონკრეტული საკითხი რა იქნება, რაც უნდა გადაწყვიტოს ყრილობამ?***

– კონკრეტული საკითხი, რა თქმა უნდა, დადგება ყრილობაზე.

***– და ეს იქნება თავმჯდომარის საკითხი?***

– დიახ, სწორედ ეს ადამიანები მთელი ქვეყნიდან, ჩვენი პარტიის წევრები, დელეგატები განსაზღვრავენ, დარჩეს თუ არა პარტიის თავმჯდომარის პოსტი ვაკანტური, როგორც ეს არის დღეს იქიდან გამომდინარე, რომ პოლიტიკურ დევნაში იმყოფება მიხეილ სააკაშვილი.

სწორედ ყრილობა განსაზღვრავს, თუ რა კონფიგურაციის უნდა იყოს პარტიის პოლიტიკური საბჭო, ასევე, რა ცვლილებები უნდა შევიდეს პარტიის წესდებაში იმისთვის, რომ გამართულად და წარმატებულად იმუშაოს ნაციონალურმა მოძრაობამ.

***– მაგრამ ყრილობის ჩატარება არ უნდა ნაციონალური მოძრაობის მეორე ნაწილს, ისინი არალეგიტიმურად მიიჩნევენ ყრილობას.***

– მესმის, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ სწორი გადაწყვეტილებაა ის, რომ სწორედ ეს ადამიანები მიიღებენ გადაწყვეტილებას, რადგან მათზე დგას პარტია, მათ ზურგზე გადადის პარტიული მუშაობა, ეს ადამიანები არიან ჩვენი ყველაზე აქტიური წევრები.

***– თუ პარტიის მეორე ნაწილი არ მიიღებს ყრილობაში მონაწილეობას და ისინი არ აპირებენ მონაწილეობის მიღებას, პარტია ორად გაიყოფა?***

– კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ეს არის მათი უფლება. მათ შეუძლიათ სრულფასოვნად მიიღონ მონაწილეობა ყრილობის მომზადებაში, საორგანიზაციო კომისიის მუშაობაში, მაგრამ თუ მათი არჩევანია, რომ მათ ეს არ გააკეთონ, ეს ჩემთვის სამწუხარო იქნება, თუმცა, ეს მათი არჩევანი იქნება და, ცხადია, მათ ამას ვერავინ დაუშლის.

# ხაჯიმბა: „გალის მოსახლეობას ბინადრობის მოწმობები უნდა დავურიგოთ“

## „ენგურზე დარჩება ერთადერთი საკონტროლო-გამშვები პუნქტი, რომელიც მკაცრად გაკონტროლდება“

მარიამ მჭედლიშვილი





პოლიტიკური კრიზისის დაძლევის შემდეგ აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმმა სხვა აქტუალური საკითხებისთვის მოიცალა.

წლის შედეგების შეჯამებისას ფაქტობრივმა პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ საერთაშორისო საზოგადოებასაც წაუყენა ბრალდებები.

მას გაუმართლებლად მიაჩნია აფხაზეთის კრიტიკა გალის რაიონის ქართული მოსახლეობის დისკრიმინაციის გამო. ხაჯიმბა ირწმუნება, რომ გალელებს არავინ ავიწროებს. სამაგიეროდ, დე ფაქტო პრეზიდენტის აზრით, უცხოეთში ირღვევა აფხაზეთის მოქალაქეების უფლებები იმის გამო, რომ მათ ამ ქვეყნებში არ უშვებენ. ამ მხრივ აფხაზეთისთვის უშედეგოა ჟენევის მრავალმხრივი მოლაპარაკებები.

**რაულ ხაჯიმბა:**

– ჟენევის დისკუსიები არაფერს გვაძლევს. ეს მხოლოდ ჩვენი პოზიციის საზოგადოებამდე მიტანის საშუალებაა. ჩვენ მხარს გვიჭერენ ჰუმანიტარულ პროექტებში, მაგრამ როცა ვაყენებთ საკითხს, რომ ჩვენც გვაქვს უფლებები, ეს უფლებები ჩვენზე არ ვრცელდება. რატომ არ გააჩნიათ ჩვენს სპორტსმენებსა და მსახიობებს აფხაზეთიდან გასვლის და ამა თუ იმ ქვეყანაში ჩასვლის უფლება? რატომ მოითხოვენ ჩვენგან გალის რაიონში მცხოვრებლების უფლებების დაცვას? ვინ თქვა, რომ ჩვენ მათ უფლებებს ვლახავთ?

გალის რაიონის მოსახლეობისათვის 2014 წლის არჩევნებამდე დარიგებული პასპორტები უკანონოდ იქნა აღიარებული. ამის შემდეგ ხალხის უმრავლესობა უსაბუთოდ ცხოვრობს. საოკუპაციო რეჟიმმა ეს პრობლემა დღემდე ვერ გადაწყვიტა.

ხაჯიმბა მომხრეა, რომ ამ ადამიანებს ბინადრობის მოწმობები დაურიგდეს. ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელია აფხაზეთის მოქალაქის პასპორტის გაცემაც:

– თუ გალის რაიონის მცხოვრები, რომელსაც კავშირი არა აქვს საომარ მოქმედებებთან და ის გაუსვლელად ცხოვრობს ამ ტერიტორიაზე, გააკეთებს განაცხადს, მას აფხაზეთის მოქალაქეობას გაუფორმებენ.

დანარჩენებისათვის ხაჯიმბა ბინადრობის მოწმობების დარიგების მომხრეა. მისი თქმით, ეს დაამაგრებს ადამიანებს ამ ტერიტორიაზე. თავის მხრივ, ხელისუფლებასაც ეცოდინება, რა რაოდენობის ხალხი ცხოვრობს აქ და რას მისცემენ სოფლის მეურნეობით დაკავებული ეს ადამიანები ბიუჯეტს.

– გალის რაიონში მცხოვრებ ადამიანებს პრეტენზია არა აქვთ პოლიტიკურ პროცესებზე. ისინი არც აფხაზეთის არმიაში სამსახურისკენ ისწრაფვიან. მოდით, მოვახდინოთ მათი ადაპტაცია სხვა პირობებისა და შესაძლებლობებისათვის, – აღნიშნა ხაჯიმბამ.

მისივე თქმით, ბინადრობის მოწმობების თემაზე ვერ მოხერხდა აფხაზეთის საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოების შეთანხმება.

გიგა ოთხოზორიას მკვლელობის შემდეგ საერთაშორისო საზოგადოება აფხაზურ რეჟიმს უყენებს ენგურზე მოქმედი საკონტროლო-გამშვები პუნქტების გაკონტროლების მოთხოვნას. ადმინისტრაციულ საზღვარზე მოძრავი ხალხის სიჭარბის გამო, აფხაზეთის რეჟიმს აკრიტიკებს ადგილობრივი ოპოზიციაც. ოპონენტების აზრით, იქ მოძრაობა საერთოდ უნდა აიკრძალოს.

რაულ ხაჯიმბა ირწმუნება, რომ ენგურზე დაიკეტება ყველა პუნქტი, საკვანძოს გარდა.

– ეს საკონტროლო-გამშვები პუნქტი მკაცრად გაკონტროლდება. ეს მოგვცემს საშუალებას, შევამციროთ დანაშაულის რაოდენობა, მათ შორის, კონტრაბანდა, – აცხადებს იგი.

# ელენე ხოშტარია: „სააკაშვილი თანაგუნდელებს შეურაცხყოფას აყენებს“

– პროცესების ასე განვითარება, როდესაც სააკაშვილის მხრიდან ხდება თანაგუნდელების შეურაცხყოფა, აღრმავებს პარტიის დაშლის შესაძლებლობას, – ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას ნაციონალური მოძრაობის წევრმა ელენე ხოშტარიამ განაცხადა.

ხოშტარიას თქმით, წესების უგულებელყოფა და თანაგუნდელების შეურაცხყოფა ზიანს აყენებს ნაციონალურ მოძრაობას.

– სამწუხაროდ გუნდმა, რომელსაც ხელმძღვანელობს დღეს მიხეილ სააკაშვილი, იმ კამპანიის გარდა, რომელსაც ისინი აწარმოებენ ჩვენ წინააღმდეგ, რომ თითქოს გარიგებულები ვართ და გვაყენებენ შეურაცხყოფას, ახლა გადაწყვიტა, რომ იურიდიულ, დემოკრატიულ პროცედურებზეც უარი თქვან, – განაცხადა ქ-მა ხოშტარიამ.

მისი თქმით, გამოაცხადეს რაღაცა კომისია, რომელიც თვითნებურად იღებს გადაწყვეტილებებს.

– ამ ზღვრამდე ამ პროცესის მიყვანა ნამდვილად სერიოზულ საფრთხეს უქმნის პარტიის ერთიანობას და მე იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენი კოლეგები და პირველ რიგში, მიხეილ სააკაშვილი გაიაზრებენ, თუ რამხელა ზიანს აყენებენ არა მხოლოდ პარტიას, არამედ ქვეყანას და დაბრუნდებიან ცივილიზებულ ჩარჩოში, – აღნიშნა დეპუტატმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ წესების უგულებელყოფა და თანაგუნდელების შეურაცხყოფა ზიანს აყენებს პარტიას.

– პროცესების ასე განვითარება, როდესაც სააკაშვილის მხრიდან ხდება თანაგუნდელების შეურაცხყოფა, აღრმავებს პარტიის დაშლის შესაძლებლობას, – განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

**ინტერპრესნიუსი**

# ნუგზარ წიკლაური დავით დარჩიაშვილის წინააღმდეგ

– პოლიტსაბჭოს სასოწარკვეთილი წევრები ივანიშვილის სასამართლოსთვის მიმართვასაც არ თაკილობენ პარტიის ასობით ათასი მხარდამჭერის წინააღმდეგ.

ასე გამოეხმაურა ნაციონალი ნუგზარ წიკლაური თანაპარტიელის, დავით დარჩიაშვილის, განცხადებას, რომელიც არ გამორიცხავს, რომ ნაცმოძრაობის ორ დაპირისპირებულ ჯგუფს შორის ყრილობის ლეგიტიმურობის საკითხზე დავა სასამართლოში გაგრძელდეს.

ნუგზარ წიკლაურმა თანაგუნდელი სოციალურ ქსელში გააკრიტიკა და განაცხადა, რომ დეგრადაციას ფსკერი არ ჰქონია.

– დეგრადაციას მართლაც არ ჰქონია ფსკერი. პარტიის ასობით ათასი მხარდამჭერის წინააღმდეგ მებრძოლი პოლიტსაბჭოს სასოწარკვეთილი წევრები ივანიშვილის სასამართლოსთვის მიმართვასაც არ თაკილობენ. ახლა მთავარია, ურთმელიძე არ იყოს დაკავებული და პროცესს სწორედ მან უხელმძღვანელოს: კერძო დავების საუკეთესო მცოდნე საქართველოში ეგ კაცია, რაც „რუსთავი 2“-ის პროცესმაც დაადასტურა, – წერს ნუგზარ წიკლაური.

ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრმა, დავით დარჩიაშვილმა, ინტერპრესნიუსთან საუბრისას არ გამორიცხა, რომ ყრილობის ლეგიტიმურობის საკითხზე დავა სასამართლოში გაგრძელდეს, თუმცა იმედი გამოთქვა, რომ საქმე სასამართლომდე არ მივა და პროცესი სამართლებრივი დავის გარეშე დარეგულირდება.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ია ანთაძე: „ტელეკომპანიების გაერთიანება საზოგადოებისთვის ცუდია“

## „მთელი აქცენტი საზოგადოებრივ მაუწყებელზე უნდა გადავიდეს“

ნონა ცაბაძე

ტელეკომპანიების „იმედის“, „მაესტროს“ და „ჯიდიესის“ გაერთიანების, ყიდვა-გაყიდვის და მედიაში განვითარებულ პროცესებზე „ახალი თაობის“ კითხვებს მედიაექსპერტი ია ანთაძე პასუხობს.

***– ია, მედიასივრცეში განვითარებული პროცესები სერიოზულ კითხვებს ბადებს. რატომ ერთიანდება ეს ტელევიზიები, რა პროცესი მიმდინარეობს?***

– ცოტა არ იყოს, მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, რადგან ჯერ არ არის ზუსტი პასუხი იმასთან დაკავშირებით, თუ რას გამოიწვევს ეს გაერთიანება. წესით, უნდა გამოიწვიოს ის, რომ საინფორმაციო პროგრამა და პოლიტიკური გადაცემები, მათ შორის თოქშოუები, დარჩეს ერთ ტელევიზიაში, სამიდან.

***– ფიქრობთ, რომ ასე მოხდება?***

– ეს მარეგულირებელმა კომისიამ უნდა თქვას ბოლოს და ჯერ არ შესულა განაცხადი ამ გაერთიანებასთან დაკავშირებით. ამიტომ ზუსტად არ შემიძლია იმის თქმა, ეს ნამდვილად ასე მოხდება თუ არა.

***– და თუ მოხდა?***

– სავარაუდოდ, მოხდება და თუ ასე მოხდა, პირადად მე, როგორც მაყურებელი და ნებისმიერი სხვა ადამიანი, დავზარალდებით, რადგან მრავალფეროვნება მედიისთვის არის აუცილებელი. თუ ჩვენ მივიღებთ სამ ტელევიზიას, საიდანაც ერთი იქნება უფრო გასართობი პროფილის, მეორე – ეკონომიკური პროფილის და მხოლოდ მესამე იქნება საერთო მაუწყებლობით, ამით საზოგადოება დაზარალდება. ასეთ სიტუაციაში უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ მაუწყებელს.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ეს იქნება ის ტელევიზია, რომელმაც უნდა აიღოს მეტი და მეტი პასუხისმგებლობა თავის თავზე.

***– ხელისუფლების როლი ამ ყველაფერში როგორია?***

– ხელისუფლებისთვის ძალიანაც მისაღებია და სასიამოვნოა ეს პროცესი, რომ სამი ტელევიზიის, სამი საინფორმაციოს მაგივრად ერთი იქნება და სამი პოლიტიკური თოქ შოუს მაგივრად ერთი იქნება, მაგრამ, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა გახდეს ის ტელევიზია, სადაც ძირითადი აქცენტი გადავა ნდობაზეც და ინფორმირებაზეც საზოგადოების. აი, ეს თუ მოხდება, მაშინ მეტ-ნაკლებად გაწონასწორდება სიტუაცია.

***– რას იტყვით ტელეკომპანია „მაესტროსთან“ დაკავშირებით? აქაც სერიოზულ გაუგებრობას აქვს ადგილი.***

– „მაესტროზე“ მიმდინარე პროცესები, სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე. ტელეკომპანია „იმედის“ განცხადებაში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ წილები შეიძინა „იმედმა“, მაგრამ გია გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ არ აპირებს წილის გაყიდვას. ეს ცოტა გაუგებარია. ამიტომ „მაესტროზე“ ჯერ ვერაფერს გეტყვით. გინდაც იყოს გაყიდული წილი და გინდაც არა, „მაესტრო“ საერთო მაუწყებლად მაინც ვეღარ დარჩება ამ სიტუაციაში.

***– ასდის ამ პროცესს პოლიტიკური სუნი? ვის ინტერესშია, რომ ეს ტელევიზიები მართოს?***

– ცოტა რთული სათქმელია, რადგან პირდაპირი ჩარევა ხელისუფლების მხრიდან ამ პროცესში თითქოს არ ჩანს. შეიძლება იყოს ბიზნესინტერესი და ეს ინტერესი გამოჩნდა მაშინ, როდესაც „მაესტროს“ წილი იყიდეს გაჩეჩილაძეებმა და იქ უკვე ჩანდა, რომ მათი ფული არ იყო, სხვისი ფული იყო. ეს თავიდანვე მიანიშნებდა იმას, რომ პროცესი აქეთ წასულიყო და საბოლოოდ „მაესტრო“ აღმოჩენილიყო „იმედის“ მფლობელობაში, რაც მოხდა კიდეც.

***– ანუ თქვენ პოლიტიკურ ინტერესს ვერ ხედავთ? ეს ბიზნესინტერესებია?***

– მედია, როგორც ბიზნესი, ჩვენს ქვეყანაში არ არსებობდა და არც ახლა არსებობს. ყოველთვის იყო პოლიტიკური ინტერესი. დღეს ეს ინტერესი შენიღბულია. ავიღოთ „ტვ პირველი“, სადაც ბევრ ფულს დებს მფლობელი და მისი პოლიტიკური ინტერესი არ ვიცით, ამ ეტაპზე არ ჩანს. ამიტომ ცოტა ძნელია პოლიტიკურ ინტერესზე ლაპარაკი. სააკაშვილის პერიოდისგან სწორედ ეს განსხვავებაა, დღეს მედიაში ფულს დებენ ადამიანები, რომელთა პირდაპირი პოლიტიკური ინტერესი არ ჩანს.

***– არც გამოჩნდება?***

– პროცესი ჯერ არ არის ბოლომდე მისული, სადღაც შუაში ვართ, გარკვეული პერიოდის შემდეგ ყველაფერი ნათელი და მკაფიო იქნება, თუ რატომ მოხდა ამ ფულის თავმოყრა და რატომ გამსხვილდა ეს ტელევიზიები. ინფორმირების თვალსაზრისით კი აშკარად ცუდია, რაც დღეს ხდება. დღეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, ნდობის თვალსაზრისით, თავისი ფუნქციები შეასრულოს.

***– რა პროცესი მიმდინარეობს დღეს საზოგადოებრივ მაუწყებელზე?***



– იქ ძალიან სერიოზული პროცესები მიდის. დამთავრდა საბუთების მიღება საკონკურსოდ და უახლოეს სამ დღეში, ახალ წლამდე, სამეურვეო საბჭო გამოაცხადებს მეორე ტურის კანდიდატებს. შემდეგ 7 დღეში კი კენჭი უნდა უყარონ და ახალი დირექტორის ვინაობა გახდეს ცნობილი.

იმ ახალმა დირექტორმა კი კარგად უნდა გააცნობიეროს, ამ ვითარებაში როგორ გაიზარდა საზოგადოებრივი მაუწყებლობის პასუხისმგებლობა, ინფორმირების და ნდობის კუთხით. მთელი აქცენტი საზოგადოებრივ მაუწყებელზე უნდა გადავიდეს, მან უნდა აიღოს თავის თავზე ის ნდობა და ის დეფიციტი ინფორმაციის, რაც გაჩნდება ერთ ხელში მედიის თავმოყრის პროცესში.

# ადა მარშანია პარლამენტის სპიკერატში ვიცე-სპიკერის აფხაზეთიდან არჩევას ითხოვს

ფრაქცია საქართველოს პატრიოტების წევრი ადა მარშანია პარლამენტის სპიკერატში ვიცე-სპიკერის აფხაზეთიდან არჩევას ითხოვს.

– ჩვენ ჩვენი ხელით გავდევნეთ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოდან ორი რეგიონი – ცხინვალი და აფხაზეთი. გიგა ბოკერიას ალბათ კარგად ახსოვს, რატომ და რანაირად მოხდა ეს, როცა პარლამენტიდან მთელი დელეგაცია იყო განდევნილი. შეიძლება ზოგისთვის ეს სადავო საკითხი იყო, მაგრამ თავის დროზე ეს ზიანის მომტანი ფაქტი გახდა, – განაცხადა მარშანიამ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე.

გარდა ამისა, მან პარლამენტს ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების საკითხზე რეზოლუციის მიღება შესთავაზა.

– ჩვენ დარიგებული გვაქვს საინტერესო დოკუმენტი, რომელსაც ჰქვია პარლამენტის რეზოლუცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ. ჩვენ ძირითადად ვეთანხმებით, არის რაღაც პოზიციები, რაც მიუღებელი და გაუგებარია. ცხადია, ამ დოკუმენტს განვიხილავთ ამ კვირაში, მაგრამ გვინდა ამდაგვარი დოკუმენტი პარლამენტმა სოხუმისა და ცხინვალის დაბრუნების საკითხზე შექმნას, – განაცხადა მარშანიამ.

**ინტერპრესნიუსი**

# ირაკლი რუხაძე: „მაესტრო“ წამგებიანი ტელევიზიაა“

– ზოგის ნულიდან, ზოგის კი, თუ საინტერესო შემოთავაზებები იქნება, შეძენას ვაპირებთ.

ამის შესახებ ტელეკომპანია „იმედის“ სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელმა, ირაკლი რუხაძემ, ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი მტკიცებით, „მაესტრო“ წამგებიანი ტელევიზიაა.

– „მაესტრო“ არის უაღრესად წამგებიანი კომპანია, როგორც უამრავი ტელეკომპანია საქართველოში, როგორც უამრავი პატარ-პატარა ტელევიზია. როდესაც არხი არის წამგებიანი, ჩნდება კითხვა, თუ რატომ ინახავს მას მფლობელი და ზუსტად ამიტომ ხდება ტელეარხების პოლიტიზირება, რომ მფლობელი არხს ინახავს არა იმიტომ, რომ ბიზნესი ჰქონდეს, არამედ იმიტომ, რომ პოლიტიკური გავლენა მოიპოვოს.

ამისგან გამოსავლის პირველი ნაბიჯი უნდა იყოს ის, რომ ტელევიზია იყოს მომგებიანი. „მაესტროს“ შანსი არ აქვს, რომ მომგებიანი ყოფილიყო თავისით, მაგრამ „იმედთან“ „ჯიდიესთან“ და კიდევ სხვა არხებთან ერთად, მას ეს შესაძლებლობა უჩნდება, – განაცხადა რუხაძემ.

მისივე თქმით, არხების გაერთიანება ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე მოხდა, რასაც პოლიტიკური სარჩული არ უდევს საფუძვლად.

– ამ გადაწყვეტილებას პოლიტიკასთან კავშირი არ აქვს. მე არ ვარ პოლიტიკოსი. ამ არხის მფლობელი საქართველოშიც კი არ ცხოვრობს. ეს არის აბსოლუტურად ბიზნესგადაწყვეტილება, – აღნიშნა ირაკლი რუხაძემ.

**ინტერპრესნიუსი**



# რამაზ საყვარელიძე: „კვირიკაშვილის შეცვლა ახლა არ შეიძლება“

ნონა ცაბაძე

„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე განვლილ 2016 წლის დადებით და უარყოფით მხარეებს აფასებს.

***– ბატონო რამაზ, მოდით, შევაფასოთ გასული 2016 წელი, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. გასული წელი ალბათ დიდი წარმატებით ვერ გამოირჩეოდა. რას ფიქრობთ თქვენ?***

– უფლება მომეცით, რომ არ დაგეთანხმოთ. დიდი იყო თუ არა, არ ვიცი, მაგრამ საბოლოო ჯამში, მაინც წარმატებული წელი იყო.

***– რა თვალსაზრისით?***

– ის რთული გზა, რაც გასავლელი იყო წინასაარჩევნოდ, თავის კამპანიით და არჩევნების ჩატარებით, საქართველომ გაიარა და საინტერესო არჩევნებიც გამოვიდა, ამ სიტყვის პოლიტიკური გაგებით. ასევე საკმაოდ შედეგიანიც.



***– შედეგიანში რას გულისხმობთ?***

– შესაძლოა, ეს შედეგი ბევრისთვის უსიამოვნო იყოს, მაგრამ მთლიანობაში, პოლიტიკური მომავლის გაჯანსაღებისთვის, ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანი შედეგი იქნა მიღებული.

***– პოლიტიკურ გაჯანსაღებას რას უწოდებთ? ოპოზიციური ველი პრაქტიკულად მოსუფთავებულია.***

– აი, მაგას ვგულისხმობ სწორედაც.

***– ფიქრობთ, რომ ეს გამოაჯანსაღებს პროცესებს?***

– ოპოზიციურ პარტიებს მკაფიოდ უყენებს ამოცანებს, რომლებიც თუ დროულად არ გადაწყვიტეს, მაშინ მართლა აღარ იქნება ეს სპექტრი და თუ გადაწყვიტეს, მაშინ გაცილებით მაღალი პოტენციის მქონე პოლიტიკურ ძალებს მივიღებთ, ვიდრე აქამდე იყო. პოლიტიკური კრიზისი კარგია თუ ცუდიაო? თუ დაძლიეს, კარგია, ეს მათ პოლიტიკურ ზრდას შეუწყობს ხელს.

***– არჩევნებს წლის მთავარ მოვლენად გამოყოფდით თუ არის კიდევ რაიმე მნიშვნელოვანი და აღსანიშნავი, დადებითი ან უარყოფითი?***

– საკმაოდ მნიშვნელოვანი პროცესი ხდებოდა და ხდება ლართან დაკავშირებით. პოლიტიკურ ცხოვრებაში საგარეო ფაქტორებიც მნიშვნელოვანია, თუნდაც იგივე ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებული პროცესები. საშინაო პოლიტიკურში – არჩევნები, ხოლო საშინაო ეკონომიურში, ლარ-დოლარის ცუდი ურთიერთობა.

***– ლარის თემამ ბევრს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. რატომ ვერ შეძლო ხელისუფლებამ ლარის დასტაბილურება? ლარი და ოპოზიცია ჩვენს ქვეყანაში ერთდროულად გაუფასურდაო. რას იტყვით თქვენ?***

– ლარი, ისევე, როგორც ოპოზიცია, ადრე ხელოვნურად მყარდებოდა. ეს გამყარების პროცესი კი შეიძლება უსასრულობაში გადასულიყო. ამიტომ ბუნებრივ კალაპოტში ლარის მიშვება გადაწყდა, უცხოელი ექსპერტებიც ამას გვირჩევდნენ და მივიღეთ ეს სურათი. დაიწყო გამყარება და, როგორც ექსპერტთა ჯგუფი აცხადებს, ლარი გაჩერდება მის რეალურ ნიშნულზე, 2,55-ზე.

***– საუბარია, რომ ამ პროცესებს შესაძლოა ეკონომიკური გუნდიც გადაყვეს. დამდეგი წლიდან რამდენად დადგება მთავრობის ცვლილების საკითხი? კვირიკაშვილის შემცვლელად ვინ აღარ სახელდება.***

– ეკონომიკური გუნდი პრაქტიკულად განახლებულია. რაც შეეხება კვირიკაშვილს, არა მგონია, რომ პრემიერის ცვლილებას რაციონალური მიდგომის ფარგლებში ვინმე გეგმავდეს. არა მგონია, ასეთი ცვლილება მიზანშეწონილი იყოს.

***– რატომ?***

– პირველი: აშკარად გამოაცოცხლა „ქართული ოცნების“ მუშაობის სტილი კვირიკაშვილის შემოსვლამ და არც ისე დიდი ხანია, რაც შემოსულია. მან შემოიყვანა ახალი სახეები „ოცნების“ რიგებში. დასახა ოთხპუნქტიანი გეგმა.

***– რომელსაც ბევრი არ ეთანხმება.***

– ეთანხმები თუ არ ეთანხმები, აქამდე გეგმაზე ლაპარაკი არ იყო, აქამდე ამდენი ახალი სახე არ იყო და საუბარი იყო მხოლოდ ნეპოტიზმზე, ნათესავების და მეგობრების შემოყვანაზე. მან კი მოიყვანა სახეები, რომლებსაც კავშირი არ აქვთ კვირიკაშვილთან და მის პოლიტიკას კი არ ატარებენ, უბრალოდ, მისი თანამოაზრეები არიან.

ამ ცვლილებების ფონზე კვირიკაშვილის ფიგურაზე დასვა კითხვის ნიშანი, ეს იმას გულისხმობს, რომ კითხვის ნიშანი დაესვას მთლიანად ამ გუნდს და ყოველივე იმას, რაც კვირიკაშვილის სახელს უკავშირდება. ასე აქეთ-იქით ხტუნაობით ქვეყანა ვერ განვითარდება.



***– კვირიკაშვილს უნდა აცადონ?***

– თუ ქვეყნის განვითარება გვინდა, ასე უნდა მოვიქცეთ. მთლიანად ახალ რელსებზე გადაყვანას ვერ გაყვება ვერც საპარლამენტო გუნდი და ვერც – სამთავრობო გუნდი. მარტო ჟურნალისტები იქნებით აღფრთოვანებული, იმიტომ, რომ თემა მოგეცემათ.

***– ბატონო რამაზ, პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ განათლების სისტემის რეფორმა არის ქვეყნისთვის ნომერ პირველი პრიორიტეტი. რას იტყვით თქვენ, როგორც ამ სფეროში ერთ-ერთი კომპეტენტური ადამიანი? რამდენად მნიშვნელოვანი ცვლილებებია გასატარებელი?***

– განათლება დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში სულ არის მსჯელობისა და უკმაყოფილების საგანი. პროგრამები აირია, გართულდა. ხშირად არაადეკვატურად გართულდა. ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოსაწესრიგებელი სისტემაა. ასევე მოსაწესრიგებელია პროფესიული განათლების საქმეც. სწორედ ამიტომაც აქვს პრემიერ-მინისტრს განათლებაზე ყურადღება გამახვილებული. სწორედ რომ პროფესიონალი მუშახელის ზრდაა საჭირო საქართველოს განვითარებისთვის, რათა ინვესტორი რომ შემოდის, მას თავისი ქვეყნიდან არ დასჭირდეს კადრების ჩამოყვანა და ადგილზე გვყავდეს მაღალი კვალიფიკაციის ადამიანები.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# განცხადება

## შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს ღია კონკურსს

**„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე და 35-ე მუხლების, შრომის კოდექსის VI მუხლისა და შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი №9 26.12.2016) აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) ვაკანსიების დასაკავებლად 2016 წლის 29 დეკემბერს.**

- საბუთების მიღება დაიწყება 2017 წლის 31 იანვრიდან 14 თებერვლამდე;
- საბუთების განხილვა მოხდება 2017 წლის 14 თებერვლიდან 2 მარტამდე;
- კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2017 წლის 2 მარტს;

**1. კონკურსი გამოცხადდეს შემდეგ მიმართულებებზე:**

I. სამართალი 06
1.1. კერძო სამართალი 0603
ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;
ასისტენტ – პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;
1.2 სისხლის სამართალი 0604
ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;
1.3. საჯარო სამართალი 0605
ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;
II. ბიზნესის ადმინისტრირება 02
(ქართულენოვან პროგრამაზე)
2.1. მარკეტინგი 0202
პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;
2.2. ფინანსები 0204
პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;
ასისტენტი – 1 საშტატო ერთეული;
III. ჰუმანიტარული მეცნიერებანი 10
3.1 ფილოლოგია 1005
3.1.1.ქართული ფილოლოგია 100501
პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული;
IV. ინჟინერია 04
4.1. კომპიუტინგი/ინფორმატიკა 0401
ასისტენტ-პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

**2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:**

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
ბ) ავტობიოგრაფია (CV) (ელექტრონულ ვერსიასთან ერთად);
გ) პირადობის მოწმობის ასლი;
დ) 1 ფოტო სურათი (3 4) (ელექტრონულ ვერსიასთან ერთად);
ე) უმაღლესი განათლებისა და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების დამოწმებული ასლი ან ცნობა;
ვ) სალექციო კურსების ჩამონათვალი – სილაბუსებით;
ზ) სამოტივაციო წერილი;
თ) სადისერტაციო ნაშრომის დასახელება და ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია;
ი) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი ან ცნობა;
კ) რეფერირებად ან დარგობრივ ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაცია.

- **კონკურსანტს შეუძლია აგრეთვე დამატებით წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:**

ა) საგრანტო პროექტების ხელმძღვანელობის ან პროექტში მონაწილეობის შესახებ;
ბ) ინფორმაცია მისი ხელმძღვანელობით შედგენილი და განხორციელებული აკადემიური პროგრამების შესახებ;
გ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში;

**3. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირს, კერძოდ:**

ა) პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს არჩეული საგანმანათლებლო მიმართულების დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამისი ძირითადი საგნების სწავლებაში აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება; მოეთხოვება – საგანმანათლებლო მიმართულების ძირითად საგნებში თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების ასახვა და შესაბამისი სილაბუსებისა და კურიკულუმების შექმნა-დამუშავება, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;

ბ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება არჩეული საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამისი ძირითადი საგნების სწავლებაში. მოეთხოვება – შესაბამისის სილაბუსებისა და კურიკულუმების შექმნა – დამუშავება, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და კონფერენციებში (სიმპოზიუმები, კონგრესები) მონაწილეობა;

გ) ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავება შეუძლია დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც თავისის კომპეტენციის შესაბამისად შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში, ასევე, მას უნდა შეეძლოს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკების ხელმძღვანელობა და სტუდენტებთან პროფესიული ორიენტაციის გაღრმავების მიზნით მუშაობის წარმართვა;

ასისტენტ-პროფესორად ასევე, შეიძლება არჩეული იქნას პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი მიმართულების 4 წლის პროფესიული გამოცდილებით ან გავლილი აქვს სპეციალური მომზადება და ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 4 პუბლიკაცია.

დ) ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეული იქნას შესაბამისის მიმართულების დოქტორანტი. ასისტენტად ასევე, შეიძლება არჩეული იქნას პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი მიმართულების 3 წლის პროფესიული გამოცდილებით ან გავლილი აქვს სპეციალური მომზადება და ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 3 პუბლიკაცია. მას უნდა შეეძლოს: პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით სასემინარო და კვლევითი სამუშაოების განხორციელება ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

4. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემების შეფასება მოხდება შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების დებულების“ მიხედვით;

5. კონკურსანტთა საბუთების მიღება იწარმოებს შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარიში დილის 10.00 საათიდან 16.00 საათამდე (თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. №55);

6. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ:
296-90-33; 296-01-04; 251-91-20
ან ისარგებლეთ ელ. ფოსტით: tbuniver.edu@gmail.com

**ადმინისტრაცია**


ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK
დაიმტკიცეთ განვადება წინასწარ
10 წამში
შეავსეთ მარტივი ფორმა და გაიგეთ რა ლიმიტის ფარგლებში
დაგიმტკიცდებათ განვადება
ეწვიეთ ჩვენს პარტნიორ მაღაზიებს და
შეავსეთ თქვენი პირადი ინფორმაცია
განვადების სტენდზე
SAMSUNG
12:45
SAMSUNG
Nikon

# ფასის უცხოურ ვალუტაში გამოქვეყნებაზე ფულადი ჯარიმა ამოქმედდება

2017 წლის 1 ივლისიდან ქონების გაყიდვის ან მისი რეკლამირების ფასის უცხოურ ვალუტაში გამოქვეყნება ჯარიმით დასჯადი იქნება.

ამის შესახებ „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროექტშია ნათქვამი, რომლის ინიცირებაც პარლამენტში 22 დეკემბერს მოხდა და რომლის ავტორიც საქართველოს მთავრობაა.



ცვლილებათა თანახმად, ქონებისა და რეკლამირების ფასის ლარში გამოხატვის წესის დარღვევის შემთხვევაში ფიზიკური პირი 500 ლარით, ხოლო იურიდიული პირი 2.000 ლარის ოდენობით დაჯარიმდება.

ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში კი ჯარიმა ორმაგდება და ფიზიკური პირი 1.000, იურიდიული პირი კი 5.000 ლარით დაჯარიმდება.

2017 წლის 1 ივლისიდან ქონების გაყიდვისა და რეკლამირების ფასის გამოქვეყნება მხოლოდ ლარით იქნება შესაძლებელი. ამის შესახებ პარლამენტში „ეროვნული ბანკის“ შესახებ კანონის ცვლილებათა პროექტშია ნათქვამი.

როგორც ცვლილებათა პაკეტის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, კანონპროექტის მიღების ძირითადი მიზეზი ქვეყანაში ლარიზაციის მაჩვენებლის გაზრდაა.

**ბიპიენი**

# ლარი ისევ გამყარდა

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გამყარდა.

დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.6441 ლარია. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.6683 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0242 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გამყარდა.

კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.7596 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.7889 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0293 ლარი შეადგინა.

# ქართული ტელევიზორის მწარმოებელი კომპანია ახალ ინვესტიციას ჩადებს



რუსთავში მდებარე ქარხანა აგ ტელეკომი, სავალუტო რყევების მიუხედავად, 2017 წელს ნახევარი მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროექტის განხორციელებას გეგმავს. კომპანიის დამფუძნებელი მიხეილ ღლონტი აცხადებს, რომ დაგეგმილია დამატებით ორი ახალი პროდუქტის გამოშვება, თუმცა, რა ტიპის პროდუქტი იქნება, ამ დროისთვის არ აკონკრეტებს.

ღლონტის განცხადებით, მომავალი წლიდან დაგეგმილია ტელევიზორების ასორტიმენტის გაზრდაც, კერძოდ, 47-55-ინჩიანი და სმარტ ტელევიზორების (ანდროიდ ტელევიზორები) გამოშვებაში. მისი თქმით, ნიმუშზე მუშაობა უკვე დასრულებულია და ამ დროისთვის ის ტესტირებას გადის.

აგ ტელეკომის დამფუძნებელი 2016 წელსაც აფასებს და აცხადებს, რომ, პრობლემების მიუხედავად, ბაზარზე დაახლოებით ერთი წლის წინ შემოსულმა კომპანიამ გაყიდვების მისაღები მაჩვენებელი აჩვენა.

მისი განცხადებით, ლარის კურსის ცვალებადობამ ამ ბიზნესზე, ისევე, როგორც ყველა სხვა ბიზნესზე, ნეგატიური გავლენა მოახდინა. კომპანიამ დაზოგა რეკლამის ხარჯი და პროდუქციაზე ფასი ამით დააკომპენსირა.

– აქედან გამომდინარე, ფასების ზრდა ძალიან მცირედით მოგვიწია, – აცხადებს ღლონტი.

მისივე თქმით, ქართული ტელევიზორები უკვე გავიდა ექსპორტზე. კერძოდ, აზერბაიჯანში. სამომავლოდ დაგეგმილია ერაყსა და ირანში გასვლაც. ახალი წლების შემდეგ მოლაპარაკება განახლდება და დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, აღნიშნულ ქვეყნებში მსხვილი პარტიები გავა.

◆ ◆ ◆

ბაზარზე ქართული წარმოების ტელევიზორი მიმდინარე წლის 1 ივნისიდან გამოჩნდა. ქართული ტელევიზორის გამოშვების შესახებ ინფორმაცია „კომერსანტმა“ რამდენიმე თვის წინ გაავრცელა. როგორც მაშინ ქარხნის ხელმძღვანელმა განგვიცხადა, ტელევიზორის ფასი კონკურენტუნარიანი იქნებოდა სხვა იმავე ხარისხის პროდუქციასთან შედარებით.

მისივე თქმით, პირველ ეტაპზე გამოშვებული იქნებოდა 1.200 ტელევიზორი, თუმცა, სამომავლოდ ეს რიცხვი გაიზრდებოდა.

უკვე ივნისის ბოლოს კი ღლონტი აცხადებდა, რომ ქართულმა ტელევიზორმა სამსუნგის პროდუქციას კონკურენცია გაუწია. „გორგიაში“ 32-ინჩიანი ტელევიზორი 479 ლარად იყიდება, 40-ინჩიანის ფასი კი 699 ლარია.

**სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე**

# წინასაახალწლოდ პროდუქტი არ გაძვირებულა

## რა დაგიჯდებათ ქართული ტრადიციული საახალწლო სუფრა?

ახალი წელი რამდენიმე დღეში დადგება და მის მოახლოებასთან ერთად საჭირო პროდუქციის შესაძენად აგრარულ ბაზრებსა თუ მარკეტებში ხალხის რაოდენობა ყოველდღიურად მატულობს.

ლარის დევალვაციისა და ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ფონის მიუხედავად, ყველას სურს, ახალ წელს შეძლებისდაგვარად მომზადებული შეხვდეს.

რამდენი ლარი დაჯდება საახალწლო სუფრა?

ამის გარკვევას „კომერსანტი“ თბილისში მდებარე აგრარულ ბაზრებში შეეცადა. აღმოჩნდა, რომ საფასო პოლიტიკა უცვლელია და წლევანდელი ფასები შარშანდელს ემთხვევა. საბოლოო ჯამში გაირკვა, რომ წელს ოჯახს ტრადიციული ქართული საახალწლო სუფრა საშუალოდ 300 ლარი დაუჯდება.



ჩვენ ყველა იმ ძირითადი პროდუქტის ღირებულება გავიგეთ, რაც ახალი წლის სუფრის უცვლელი შემადგენელი ნაწილია.

როგორც ყოველთვის, წელსაც ყველაზე ძვირი გოჭია, რომლის ფასი 80-დან 130 ლარამდე მერყეობს. რაც შეეხება ღორის და საქონლის ხორცს, 1 კგ 12 ლარი დაგიჯდებათ. 1 კგ ქათმის ფასი 10-12 ლარია.

საახალწლო სუფრის მთავარი კერძი საცივია, მისი უმნიშვნელოვანესი ინგრედიენტი კი – ინდაურის ხორცი. ინდაურის ფასი წელს 60-დან 120-ლარამდე მერყეობს. 1 კილოგრამი იმერული ყველი 10 ლარი ღირს, სულგუნი კი – 15 ლარი.

ყველას ოჯახში ახალი წლის სუფრაზე გოზინაყი აუცილებლად დევს, მის მოსამზადებლად კი ნიგოზი და თაფლი აუცილებელია. 1კგ ქართული ნიგვზის ფასი 35-დან 40 ლარამდეა, ხოლო იმპორტირებულის ღირებულება 28-30 ლარია. რაც შეეხება თაფლს, 1 კგ 15 ლარი ღირს. ჩურჩხელის შეძენას შეძლებთ როგორც 3 ლარად, ასევე 1.50 თეთრად.

ახალი წელი ციტრუსოვანი ხილის გარეშე წარმოუდგენელია. კილოგრამი მანდარინის ფასი 2 ლარია, ხოლო 1 კგ ფორთოხლის ღირებულება 1.50-დან 2 ლარამდეა.

როგორც ბაზარში გამყიდველებმა განაცხადეს, წელს მათ პროდუქციაზე ფასების მომატება არ უცდიათ, რადგან მოსახლეობას ეკონომიკურად ძალიან უჭირს.

**ლიკა გურაბანიძე, კომერსანტ.გე**

# ზესტაფონი–ქუთაისის შემოვლით გზაზე სამუშაოები გრძელდება

ჩქაროსნული ავტომაგისტრალის, ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან იუწყებიან, მშენებლობის პროექტის ფარგლებში, 15.2 კმ-იან მონაკვეთზე, გათვალისწინებულია ცემენტ-ბეტონის საფარიანი 4-ზოლიანი ჩქაროსნული გზის, 9 პარალელური ხიდის, 2 სატრანსპორტო კვანძის, 5 საფეხმავლო ხიდის, მიწისქვეშა გასასვლელებისა და რკინა-ბეტონის წყალგამტარი მილების მშენებლობა.



პროექტზე 360 ადამიანია დასაქმებული.

მათივე ინფორმაციით, ამ დროისთვის, ხიდებზე ბურჯების, რიგელების, ლითონის ბარიერებისა და სადეფორმაციო ნაკერების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

ასევე, მიმდინარეობს გზის გამყოფ ზოლზე ნიუჯერსის ბეტონის ბარიერებისა და გზის საფუძვლის მოწყობა ცემენტ-ბეტონის საფარის დასაგებად.

სამუშაოებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, ზურაბ ალავიძე და საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე, გიორგი სეთურიძე ადგილზე გაეცნენ.

– ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობა გაზრდის ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებას, შეამცირებს გადაზიდვების ხარჯებს და ხელს შეუწყობს სატრანზიტო მიმოსვლის ზრდას. აღნიშნული მონაკვეთი, პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის ინიციატივის, 4-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მიმართულების, ქვეყნის სივრცითი განვითარების უმთავრესი ნაწილია.

ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობა 2017 წლის გაზაფხულზე დასრულდება. სამშენებლო სამუშაოები იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს დაფინანსებით ხორციელდება, – აცხადებენ უწყებაში.

**ბიპიენი**

# რომან გოცირიძე: „ბათუმის ფსიქიატრიული საავადმყოფოს პრივატიზაციას კორუფციის სუნი ასდის“

საპარლამენტო უმცირესობის წევრის, რომან გოცირიძის, აზრით, ბათუმის ფსიქიატრიული საავადმყოფოს პრივატიზაციას კორუფციის სუნი ასდის. დეპუტატი პრივატიზაციის პროცესის სასწრაფოდ შეჩერებას ითხოვს.

როგორც გოცირიძემ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა, პრივატიზაცია ბევრი მიმართულებით ფერხდება და მაშინ, როდესაც უამრავი საპრივატიზაციო ქონება ხელუხლებელია, ხელისუფლებამ რატომღაც გადაწყვიტა ისეთი ობიექტის გაყიდვა, რომელიც არის ერთადერთი და ემსახურება ჯანდაცვის სფეროს – ეს არის ბათუმის ფსიქიატრიული საავადმყოფო.

– არავინ ეწინააღმდეგება პრივატიზაციას, მაგრამ ცხადდება ტენდერი და მისი ვადა არის მხოლოდ 2 კვირა – 16 დეკემბერს გამოცხადდა და 30 დეკემბერს უნდა გაიყიდოს. ხშირ შემთხვევაში ირიბი ინდიკატორია წინასაახალწლოდ ობიექტის გაყიდვა და ბოლო დღეს კონკურენტების მოცილების მარტივი გზა. იქნებ ვინმემ თქვას, რომ ამის გაყიდვით შეიძლება რეგიონში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება. მაშინ გადავხედოთ სატენდერო პირობებს – იყიდება 100.000 ლარად, ერთოთახიანი ბინის ფასად. იქნებ შეკითხვა იყოს სხვანაირად – იქნებ ინვესტიციებს ახორციელებს, ვინც ყიდულობსო (და ვინც ყიდულობს, როგორც ჩანს, უკვე წინასწარ არის ცნობილი)? საინვესტიციო ვალდებულება არის 3 წელიწადში 1 მილიონი ლარი.

ამ გაუფასურებული ლარის პირობებში ეს ეყოფა კედლების შეღებვას და კოსმეტიკურ რემონტს. რაც ყველაზე სავალალოა, არ არის მოთხოვნა, რომ ერთადერთი ამ პროფილის კლინიკა შენარჩუნებული იყოს თავისი პროფილით. ამ ტერიტორიაზე, რომელიც არის 25.000 კვ. მიწა, შეიძლება ააშენონ ნებისმიერი რამ და ეს გამოყენებული იქნება, როგორც ჩანს, ბინათმშენებლობისთვის. თუ პროფილი შენარჩუნდებოდა, არავითარი პრეტენზია და კრიტიკა არ გვექნებოდა, – განაცხადა გოცირიძემ.

მისი თქმით, პრივატიზაციის პროცესი სასწრაფოდ უნდა შეჩერდეს და გამოცხადდეს ახალი ტენდერი ახალი პირობებით, სადაც დაცული იქნება პროფილის შენარჩუნების პირობა.

**ინტერპრესნიუსი**

# რუსეთმა საქართველოდან მსხვილფეხა საქონლის შეტანა აკრძალა



რუსეთმა საქართველოდან მსხვილფეხა საქონლისა და ამ ცხოველებისგან მიღებული პროდუქციის ნაწილის შეტანა აკრძალა. „რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, „როსსელხოზნადზორის“ განცხადებით, ამის მიზეზი დერმატიტია.

– საქართველოს ტერიტორიაზე მსხვილფეხა საქონელში ნოდულარული დერმატიტის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციაში საქართველოდან შემდეგი საქონლის შეტანაზე შეზღუდვები წესდება: ნოდულარული დერმატიტისადმი მგრძნობიარე საქონლის (მათ შორის მსხვილფეხა საქონლის), ამ დაავადებისადმი მგრძნობიარე საქონლისგან მიღებული პროდუქტის, რომელიც არ არის სათანადოდ დამუშავებული, – ნათქვამია ინფორმაციაში.

გარდა ამისა, აკრძალვა ეხება გენეტიკურ მასალებს, გადაუმუშავებელი ტყავის ნედლეულს, რომლებიც მიღებულია ამ ვირუსით დაავადებული საქონლისგან, მათ შორის მსხვილფეხა საქონლისგან.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# საზმაუს გენდირექტორობა 15 კაცს უნდა

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად 15 განაცხადი შევიდა.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს განცხადებით ბაჩუკი ბახტაძემ, რევაზ შალიბაშვილმა, ზაალ ანჯაფარიძემ, გიორგი ქავთარაძემ, ვასილ მაღლაფერიძემ, ნინო ზაუტაშვილმა, გურამ ფალავანდიშვილმა, ნიკოლოზ მჭედლიშვილმა, თინათინ ბერძენიშვილმა, დავით ცინცაძემ, მანანა ღოღობერიძემ, რამაზ სამხარაძემ, თამაზ ბიბილურმა, ნათია კუპრაშვილმა და მარგარიტა დოლიძემ მიმართეს.

ამის შემდეგ სამი დღის ვადაში კანდიდატთა სია გამოქვეყნდება.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც გიორგი ბარათაშვილი აღნიშნული პოსტიდან გადადგა.

**ინტერპრესნიუსი**

# განცხადება მოდულური/დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და მათი განმახორციელებელი დაწესებულებების შესახებ

**2013 წლიდან მიმდინარე პროფესიული განათლების რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და მათი შეთავაზება საზოგადოებისათვის. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გაცნობებთ, რომ 2016 წლის ბოლოსათვის დამტკიცებულია და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების მიღება შემდეგი მოდულურ/დუალურ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით:**

სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი). საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი, მეფუტკრე, ფარმაცევტის თანაშემწე, რესტორნის სერვის მენეჯერი, ბართენდერი, მასაჟისტ-რეაბილიტატორი, პრაქტიკოსი ექთანი, ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი, მიღება-განთავსების სპეციალისტი, სასტუმრო საქმის სპეციალისტი, ბუღალტერ-ტექნიკოსი, მოლარე.

ოფისის-მენეჯერი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი, ტუროპერატორი,

თმის სტილისტი, დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი, თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე, დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი, ბანკის მოლარე-ოპერატორი, საბაჟო საქმის სპეციალისტი, შემფასებელი, ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი, არქიტექტორ-ტექნიკოსი, კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი, ვებ-ინტერფეისის დიზაინერი, ვებ-ინტერფეისის დეველოპერი, ვებ-პროგრამისტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი, ზეინკალ-სანტექნიკოსი, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, ბუღალტერი, თექის ოსტატი, სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი, სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი, ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი, ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი, ღონისძიების მენეჯერი, კონსულტანტ-გამყიდველი, ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი, ფილამწყობი, ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი,

საკერავი მანქანის ოპერატორი, ექთნის თანაშემწე, მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსი, ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი, სისტემების ადმინისტრატორი, სარეკლამო აგენტი, ბიბლიოთეკარი. ვიზაჟის სპეციალისტი. ღონისძიების დიზაინერი, პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერი, მუსიკის რეპეტიტორი. პიანისტ-აკომპანიატორი, იუველირი, მემინანქრე, გარემოს დაცვის ტექნიკოსი, სადაზღვევო აგენტი, ფოტოგრაფი, ტრაქტორისტ-მემანქანე, ჰიდროტექნიკური მშენებლობის ტექნიკოსი, სამთო ტექნიკოსი, სამთო ელექტრომექანიკოსი, მყარი სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების ტექნიკური სპეციალისტი, მქარგავი, კალატოზი, მებათქაშე, მღებავი, აგრარული ტექნიკის მექანიკოსი, თევზის მომშენებელ-ოპერატორი, მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი, სამკურნალო მცენარეების დამამზადებელი,

ტრიკოტაჟის მქსოველ-ოპერატორი, ელექტროამძრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ტექნიკოსი (1000ვ. ქვემოთ), სამგანზომილებიანი მოდელირების და ტექსტურირების სპეციალისტი, სამგანზომილებიანი განათებისა და ვიზუალიზაციის სპეციალისტი, მზარეული, კონდიტერი, მევენახეობა-მეღვინეობა (დუალური), მეხილეობა (კურკოვანი, თესლოვანი და კაკლოვანი კულტურები) (დუალური) და მეცხოველეობა (მესაქონლეობა) (დუალური)

* * *

**მოდულურ/დუალურ პროგრამებს ახორციელებენ შემდეგი საგანმანათლებლო დაწესებულებები:**

თბილისი სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

თბილისი ა(ა)იპ – პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“

თბილისი სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

თბილისი სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი

თბილისი სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“

თბილისი სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“

თბილისი შპს – საქართველოს ბიზნესის აკადემია – შ ი

თბილისი შპს – საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

თბილისი შპს – მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი

თბილისი შპს – საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა“

თბილისი შპს – ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია, საზოგადოებრივი კოლეჯი

თბილისი სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი შპს მილენიუმ აკადემია

თბილისი ა(ა)იპ – სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

თბილისი შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „21 საუკუნე“

თბილისი შპს დავით აღმაშენებლის აკადემია

თბილისი შპს – კოლეჯი „ხვალინდელი წარმატებისათვის“

თბილისი შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი

თბილისი შპს – „ორიენტირი“

თბილისი შპს – საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

თბილისი/ქუთაისი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი/ბაღდათი სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“

გორი სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გორი შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლა

ქარელი სსიპ – დაბა აგარის საჯარო სკოლა

მცხეთა სსიპ – ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი

რუსთავი სსიპ – პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“

მარნეული შპს – მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

თელავი სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კაჭრეთი/ქვემო ალვანი/დედოფლისწყარო სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“

ბათუმი სსიპ – პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“

ბათუმი სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ბათუმი შპს – ბათუმის სამედიცინო აკადემია

ბათუმი სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქობულეთი სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“

ფოთი სსიპ – პროფესიული კოლეჯი „ფაზისი“

ზუგდიდი/სენაკი სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ჯვარი სსიპ – პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“

ხიჭაური ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

მესტია სსიპ – პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი“

ამბროლაური სსიპ – პროფესიული კოლეჯი „ერქვანი“

ახალციხე სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ახალციხე სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარი“

* * *

**დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისათვის შეუძლიათ მიმართონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ასევე ისარგებლონ ვებგვერდებით: vet.ge და eqe.gov.ge.**

## საზარელი ავარია ქობულეთში

### გარდაცვლილია ერთი ადამიანი

ქობულეთში მომხდარ ავარიას ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. როგორც „ნიუპოსტის“ კორესპონდენტი ადგილიდან იტყობინება, მსუბუქი ავტომობილი სატვირთოს შეეჯახა.



მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა, დაშავებულია ერთი პირი, რომელიც სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. მისი მდგომარეობა მძიმეა.

ავარიის ფაქტს ადასტურებენ შს სამინისტროში, როგორც „ნიუპოსტს“ უწყებაში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით აღიძრა, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

## ქობულეთთან მატარებელი ავტომობილს დაეჯახა



ბათუმი-თბილისის მიმართულებით მოძრავი მატარებელი ქობულეთთან მსუბუქ ავტომობილს შეეჯახა.

შემთხვევის გამო, 30 წუთის განმავლობაში მატარებლის მოძრაობა შეჩერებული იყო.

დაზიანებული ავტომობილი სამმართველოში გადაიყვანეს. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

## საკონსტიტუციო სასამართლო პარლამენტის წინააღმდეგ იურისტ ლევან ალაფიშვილის სარჩელს განიხილავს



საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განიხილავს იურისტ ლევან ალაფიშვილის სარჩელს საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მოსარჩელე მხარის განცხადებით, პარლამენტმა წელიწადნახევრის წინ მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, თავისუფლად ჰქონდეს წვდომა ცალკეული პირების საბანკო ანგარიშებზე.

იურისტი მიიჩნევს, რომ ეს არაკონსტიტუციურია და მიღებული კანონი საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება.

– გასულ წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც, ცვლილება შევიდა „ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსსა“ და საბანკო კანონმდებლობაში, რომლის მიხედვითაც, საბანკო საიდუმლოებებზე წვდომის უფლება საგადასახადო ორგანომ მოიპოვა.

ამ პროცესში არ არის დაცული თვითონ ანგარიშის მფლობელის უფლება, რომ ჰქონდეს ინფორმაცია სასამართლო პროცესის შესახებ, რათა გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება. ეს, შესაბამისად, პირდაპირ ხელყოფს კონსტიტუციით დაცულ არაერთ სიკეთეს, პირველ რიგში, სამართლიანი სასამართლოს უფლებას გასაჩივრების ნაწილში, – განაცხადა ალაფიშვილმა.

## ბრალის აღიარება 2-წლიანი პირობითი სასჯელის სანაცვლოდ

### დავით ლორთქიფანიძის პიჯაკის საქმე



დავით ლორთქიფანიძის პიჯაკის საქმეზე ბრალდებულებმა ქუთაისის საქალაქო პროკურატურისგან შეთავაზება მიიღეს – ბრალის აღიარება 2-წლიანი პირობითი სასჯელის სანაცვლოდ.

ნიკა ნარსია, კახა გაბუნია და მირიან დეისაძე აცხადებენ, რომ მათ ამ შეთავაზებაზე უარი განაცხადეს.

– გვითხრეს, რომ უნდა აღიაროთ დანაშაული და გაგიფორმებთ ორწლიან პირობითს და იქნებით გარეთ, მაგრამ ჩვენგან მიიღეს მტკიცე უარი, რადგან ჩვენ რაღაც უნდა მოგვეგონებინა, რომ ლორთქიფანიძეს თავს დავესხით და ზღაპრები უნდა მოგვეგონებინა. ჩვენ ვიბრძვით უბრალო ხალხისთვის და დავამარცხებთ ივანიშვილის რეჟიმს, – განაცხადა ნიკა ნარსიამ.

## ოზურგეთში 42 წლის მამაკაცი მოკლეს

ოზურგეთის სოფელ მელექედურში 42 წლის მამაკაცი დანით მოკლეს. სოფელ მელექედურში ოზურგეთის გამგებლის წარმომადგენლის გაგა ცხომელიძის თქმით, შემთხვევა მოხდა მოკლულის სახლიდან რამდენიმე კილომეტრში.

მკვლელობის სავარაუდო ვერსიად „ძველი დაპირისპირება“ სახელდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან




დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს „სისხლის სამართლის კოდექსის“ 108-ე მუხლით, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

შსს-ს ცნობით, დადგენილია სავარაუდო ბრალდებული და მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებები.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ტრამპმა ახალი მრჩეველი დანიშნა



დონალდ ტრამპს ახალი მრჩეველი ჰყავს. ეს პოსტი თომას ბოსერტს ერგო. ის შიდა ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი იქნება.

ბოსერტი ჯერ კიდევ ჯორჯ ბუშ-უმცროსის ადმინისტრაციაში მუშაობდა. ის შიდა უსაფრთხოების დარგში მრჩევლის მოადგილე იყო, უკანასკნელი წლების განმავლობაში კი ატლანტიკური საბჭოს თანამშრომელი გახლდათ.

# ობამა: „მე რომ კენჭი მესამე ვადით მეყარა, გავიმარჯვებდი“



აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ განაცხადა, რომ მის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ქვეყნის შემდგომი პროგრესი განაპირობა. ეკონომიკა გაიზარდა, შემცირდა უმუშევრობა, ამერიკა კიდევ უფრო გაძლიერდა.

— მე რომ კენჭი მესამე ვადით მეყარა, გავიმარჯვებდი, — თქვა ობამამ.

# ჯონ მაკეინი ესტონეთში ჩავიდა



ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსი ჯონ მაკეინი სენატორ გრემთან ერთად ტალინში ჩავიდა.

ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ ტრამპის ადმინისტრაცია ესტონეთს, ლატვიას და ლიტვას არ მიატოვებს.

— ჩვენ ბალტიისპირეთს მხარს ვუჭერდით, ვუჭერთ და მომავალშიც დავუჭერთ, — აღნიშნა მაკეინმა.

სენატორმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ-ის მიერ რუსეთის მიმართ შემოღებული სანქციები არ შესუსტდება. ეს თანაბრად ეხება როგორც დონბასის ომის გაჩაღების, ასევე ყირიმის ანექსიისთვის შემოღებულ სანქციებს.

# ერდოღანი: „ამერიკა ტერორისტებს ეხმარება!“



თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა აშშ-ის ეგიდით შექმნილ ანტიტერორისტულ კოალიციას ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირში დასდო ბრალი:

— ისინი ტერორისტებთან კავშირში გვადანაშაულებდნენ, სინამდვილეში, ექსტრემისტებთან თავად არიან დაკავშირებულნი! — თქვა ერდოღანმა.

აშშ-მ ამ ბრალდებას სასაცილო უწოდა.

— ეს ბრალდება სასაცილოა. ასეთი განცხადების საფუძველი არ არსებობს. არა მგონია, ვინც ხედავს ჩვენს ქმედებებს ჩრდილოეთ სირიაში და ერაყში, არ დაენახა, რომ ჩვენ ასი პროცენტით ვიბრძვით ისლამური სახელმწიფოს განადგურებისთვის, — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მარკ ტონერმა.

# არგენტინის ექსპრეზიდენტს ახალი ბრალდებები წაუყენეს



არგენტინის ექსპრეზიდენტ ქრისტინა კირშნერს ახალი ბრალდებები წაუყენეს. მას ბრალი კორუფციასა და ყალთაბანდობებში ედება.

სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, კირშნერის აქტივები, 600 მილიონი დოლარის ოდენობით, გაყინულია.

თავად კირშნერი წამოყენებულ ბრალდებებს უარყოფს და ამტკიცებს, რომ პოლიტიკური შეხედულებებისთვის დევნიან.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## *კალეიდოსკოპი*

# მსოფლიოში ყველაზე მაღალ ქანდაკებას საფუძველი ჩაუყარეს



ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნარენდრა მოდი მახარაშტრას შტატს ეწვია და საფუძველი ჩაუყარა შივაჯის გიგანტურ ქანდაკებას.

ძეგლის აგება ხელოვნურ კუნძულზეა დაგეგმილი, რომელიც არაბეთის ზღვის სანაპიროდან, ქალაქ მუმბაის რაიონში, ოთხკილომეტრში მდებარეობს. ქანდაკების სიმაღლე 192 მეტრი იქნება. სავარაუდოდ, მშენებლობა 36 მილიარდი რუპია (დაახლოებით 530 მილიონი დოლარი) დაჯდება.

ინდური ძეგლი 76 მეტრით მაღალი იქნება მინამიში მდებარე 116 მეტრიან ბუდას ქანდაკებაზე, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მაღალ ქანდაკებად ითვლება.

პროექტის კრიტიკოსები ასეთ ხარჯებს სრულიად გაუმართლებელს უწოდებენ. ისინი შიშობენ, რომ მშენებლობა გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს გარემოს და საფრთხეს შეუქმნის ადგილობრივ თევზის მრეწველობას. ასევე მისი უსაფრთხოების დაცვა, სავარაუდოდ, სერიოზულ პრობლემებთან იქნება დაკავშირებული.

შივაჯი ცხოვრობდა და მეფობდა XVII საუკუნეში. ის ხელმძღვანელობდა მარატხების ბრძოლას დიდი მოგოლების წინააღმდეგ და დამოუკიდებელი მარატხის სახელმწიფო შექმნა. ის მარატხების ეროვნულ გმირადაა მიჩნეული.

# ბრიტანელებმა ორი ათასი ფუნტი დახარჯეს უსახლკაროთა საჩუქრებზე



ლონდონელებმა ორი ათას ფუნტ სტერლინგზე მეტი დახარჯეს უსახლკარო ადამიანებისთვის განკუთვნილ საშობაო საჩუქრებზე.

25 წლის ო,რაილი კილიანმა, საქველმოქმედო აქციის მონაწილემ, მომხდარი ვიდეოზე გადაიღო და ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა. ორ დღეში ვიდეორგოლი შვიდი ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

კლიანთან ერთად საჩუქრებს უსახლკაროებს 30-მდე ბრიტანელი ურიგებდა. როგორც ვიდეოსთვის თანდართულ კომენტარშია აღნიშნული, მათ 200-მდე უსახლკაროს საჭმელი, სასმელი და ჩასაცმელი გადასცეს.

# ბრიტანულმა წყვილმა მარიხუანას ბუჩქი საშობაო ნაძვისხედ აქცია



ბრიტანეთის გლოსტერშირის საგრაფოს მცხოვრებმა წყვილმა საშობაო სათამაშოებით ტრადიციული ნაძვის ხის ნაცვლად მარიხუანას ბუჩქი გააფორმა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბუჩქი მორთეს გირლიანდებით, ბაფთებით, ხოლო მის კენწეროზე ანგელოზის ფიგურა დაამაგრეს. აღსანიშნავია, რომ ქალი და მამაკაცი, რომელთა ვინაობა არ სახელდება, პოლიციის ადგილობრივი განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს. ისინი მარიხუანის მოყვანაში არიან ეჭვმიტანილები.

ინციდენტის გამოძიება გრძელდება. საქმის სასამართლო განხილვა 2017 წლის თებერვლისთვისაა დანიშნული.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**მომსახურება**

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ქართველები ესპანეთის ჩემპიონატში გვერდიგვერდ არიან

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები




თორნიკე შენგელიას ბასკონია ისე წარმატებით ვერ ასპარეზობს ესპანეთის ჩემპიონატში, როგორც ევროლიგაში. ვიტორიელებმა შიდა ჩემპიონატის მორიგი მატჩი სტუმრად, გრან კანარიასთან წააგეს. ბასკონიამ პირველი მეოთხედი 6:22 დათმო, რის შემდეგაც ამაოდ ცდილობდა ვითარების გამოსწორებას, საბოლოოდ კი შეხვედრა 61:74 წააგო.

ქართველი კალათბურთელი სტუმართა რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ. შენგელია სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, საბოლოოდ კი, 24 წუთში 11 ქულა, 2 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. თორნიკემ 6-დან 4 ორქულიანი და სამქულიანი ზუსტად სტყორცნა.

მომდევნო მატჩს ვიტორიელები უკვე მომავალ წელს მადრიდში, რეალთან გამართავენ. კანარის კუნძულებზე მარცხის შემდეგ ბასკონიას 8 მოგების წილ 5 მარცხი დაუგროვდა და ცხრილში ანდორასთან და უნიკახასთან მე-5-7 ადგილებს იყოფს.

სწორედ ანდორა და უნიკახა ეთამაშებოდნენ ერთმანეთს და გიორგი შერმადინისა და ბექა ბურჯანაძის ანდორამ მორიგი გამარჯვება იზეიმა. ანდორელებმა სახელიანი უნიკახა დაძაბულ ბრძოლაში 92:87 დაამარცხეს, რაშიც ქართველი ლეგიონერების წილი სოლიდურია. გარდა იმისა, რომ შერმადინი და ბურჯანაძე მთლიანობაში შედეგიანები იყვნენ, ბოლო წუთებზე მათ გამარჯვებისთვის აუცილებელი ბურთები ჩააგდეს.

სასტარტო ხუთეულში მხოლოდ შერმადინი გამოჩნდა და ორივე გუნდის რიგებში ერთადერთი კალათბურთელი გახდა, ვინც ორმაგი დუბლი შეასრულა. გიორგიმ 27 წუთში 16 ქულა, 10 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა. მან 12-დან 7 ორქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. სარგებლიანობის კოეფიციენტის (23) მიხედვით, ქართველი ცენტრი მხოლოდ ავსტრიელ ტომას შრეინერს (26) ჩამორჩა, რომელმაც 5 სამქულიანი და 4 საჯარიმო მიითვალა და 19 ქულა მოაგროვა.

მოედანზე 19 წუთი გაატარა ბურჯანაძემ, რომლის მონაგარიც 7 ქულა, 2 მოხსნა და 2 პასი იყო. ბექამ 2-ვე სამქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, 1 ორქულიანი ააცილა.

როგორც გითხარით, ამ მოგებით ანდორა გაუთანაბრდა უნიკახას და თორნიკე შენგელიას ბასკონიას. მომდევნო მატჩს ანდორელები სტუმრად ტენერიფეს იბეროსტართან გამართავენ.

საბერძნეთის საკალათბურთო ჩემპიონატის მე-12 ტურში მაიკლ დიქსონის აეკი კოლოსოსს ესტუმრა და მოულოდნელი მარცხი განიცადა – 73:86.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელი მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 20 წუთში 8 ქულა მოაგროვა. დიქსონმა 8-დან 3 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, 3 სამქულიანი კი ააცილა.

ათენელებმა მიმდინარე ჩემპიონატში მესამედ წააგეს, თუმცა, ოლიმპიაკოსისა და პანათინაიკოსის კვალად, მე-3 ადგილზე რჩებიან.

მეოთხეზეა ვიქტორ სანიკიძის არისი, რომელმაც ლავრიოსთან (98:77) მე-8 მოგება მიითვალა. მოგეხსენებათ, ქართველ ფორვარდს ჯერაც ტრავმა აწუხებს და მიმდინარე სეზონში მოედანზე ვერ გავა.

## შედეგები

**27 დეკემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლივერპული-სტოკი ........................ 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 18 | 15 | 1 | 2 | 38-11 | 46 |
| 2.ლივერპული | 18 | 12 | 4 | 2 | 45-21 | 40 |
| 3.სიტი | 18 | 12 | 3 | 3 | 39-20 | 39 |
| 4.არსენალი | 18 | 11 | 4 | 3 | 39-19 | 37 |
| 5.ტოტენჰემი | 17 | 9 | 6 | 2 | 29-12 | 33 |
| 6.მანჩესტერი | 18 | 9 | 6 | 3 | 27-18 | 33 |
| 7.ევერტონი | 18 | 7 | 5 | 6 | 23-21 | 26 |
| 8.საუთჰემპტონი | 17 | 6 | 6 | 5 | 17-16 | 24 |
| 9.ვესტ ბრომვიჩი | 18 | 6 | 5 | 7 | 23-22 | 23 |
| 10.უოტფორდი | 18 | 6 | 4 | 8 | 22-30 | 22 |
| 11.ვესტ ჰემი | 18 | 6 | 4 | 8 | 23-32 | 22 |
| 12.სტოკი | 18 | 5 | 6 | 7 | 20-28 | 21 |
| 13.ბორნმუთი | 18 | 6 | 3 | 9 | 23-31 | 21 |
| 14.ბარნლი | 18 | 6 | 2 | 10 | 17-28 | 20 |
| 15.მიდლსბრო | 18 | 4 | 6 | 8 | 16-20 | 18 |
| 16.ლესტერი | 18 | 4 | 5 | 9 | 23-31 | 17 |
| 17.კრ.პალასი | 18 | 4 | 4 | 10 | 29-33 | 16 |
| 18.სანდერლენდი | 18 | 4 | 2 | 12 | 16-31 | 14 |
| 19.სუონსი | 18 | 3 | 3 | 12 | 21-41 | 12 |
| 20.ჰალი | 18 | 3 | 3 | 12 | 14-39 | 12 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბრაიტონი-ქპრ ................................ 3:0
დერბი-ბირმინგემი .......................... 1:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-ჰამილტონი ..................... 2:1
ჰარტსი-კილმანროკი ...................... 4:0

**ბელგია. 1 დივიზიონი**

გენკი-გენტი ................................... 2:0
სტ.ტრუიდენი-სტანდარდი ............ 2:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# გიორგი ნავალოვსკი: „აზერბაიჯანი საქართველოს ნაკრებში თამაშში ხელს არ შემიშლის“




საქართველოს ნაკრების 30 წლის მცველმა გიორგი ნავალოვსკიმ ბერძნული ვერია თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა, მაგრამ უკლუბოდ დიდხანს არ ყოფილა – ამიერიდან ბაქოს ნეფთჩის ღირსებას დაიცავს. ხელშეკრულება აზერბაიჯანულ კლუბსა და ქართველ ფეხბურთელს შორის ერთი წლით გაფორმდა.

ნეფთჩის აზერბაიჯანის 8-გუნდიან ჩემპიონატში, 14 ტურის შემდეგ, ბოლოსწინა, მე-7 ადგილი უკავია.

ნავალოვსკიმ აზერბაიჯანულ მედიასთან ისაუბრა.

– როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილებები ნეფთჩიში?

– ძალიან კარგი. ჩემმა მეგობარმა დამირეკა და მითხრა, რომ ნეფთჩის მთავარ მწვრთნელს სურდა გუნდში ჩემი ხილვა. მე დავთანხმდი. მიხარია, რომ ასეთი დიდ კლუბში ვითამაშებ.

– მაგრამ გუნდის ამჟამინდელი მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა.

– ნეფთჩი მართლა არ უნდა იყოს ამ ვითარებაში, რადგან დიდი კლუბია. მინდა დავეხმარო გუნდს და კლუბში ახალ მეგობრებთან ერთად მივაღწიო საუკეთესო შედეგებს. იმედი მაქვს, ყველაფერი დალაგდება.

– აზერბაიჯანში მეორედ ხართ. 2010 წელს ინტერში ჩემპიონობისთვის იბრძოდით.

– მიხარია, რომ ისევ ვითამაშებ აზერბაიჯანის ჩემპიონატში. კარგად მახსოვს ჩემი თამაში ინტერში. მაშინ გუნდში ბევრი ქართველი თამაშობდა და კოლექტივში ბრწყინვალე ატმოსფერო სუფევდა. სწორედ იქ გავიცანი ნეფთჩის ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი ელხან აბდულაევი. მჯერა, ნეფთჩიში ყველაფერი კარგად იქნება.

– ადრინდელისგან განსხვავებით, აზერბაიჯანის ჩემპიონატში ქართველი ფეხბურთელების ნაკლებობაა. ეს თქვენთვის პრობლემა არ იქნება?

– ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემები არ შემექმნება, რადგან ბაქოში მიცხოვრია და კარგად ვიცნობ ცხოვრების აქაურ წირს. ხოლო იმას, რომ აქ ქართველი ფეხბურთელების სიმცირეა, მნიშვნელობა არ ენიჭება.

– ჩემპიონატისგან განსხვავებით, ნეფთჩი ქვეყნის თასზე შემორჩა, სადაც ნახევარფინალშია გასული და ყარაბახს დაუპირისპირდება. როგორია ამ ბარიერის დაძლევის შანსი?

– ყარაბახი ძალიან ძლიერია, მაგრამ ბურთი მრგვალია, მინდორი კი – სწორი. ასე რომ, ვინც უკეთ მოემზადება, ის გაიმარჯვებს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ფინალში გავიდეთ, წარმატებას მივაღწიოთ და ევროთასების საგზური მოვიპოვოთ.

– უკვე იცით, ბაქოში სად დაბინავდებით?

– ჯერ არ ვიცი, სად ვიქნები. ჯერ შეკრება გვექნება, რის შემდეგაც ვიზრუნებ ბინაზე. სავარაუდოდ, ბაქოში ჩემს ოჯახთან ერთად ვიცხოვრებ.

– არ შიშობთ, რომ აზერბაიჯანის ჩემპიონატში თამაშის გამო საქართველოს ნაკრებში ადგილს დაკარგავთ?

– ასე არ ვფიქრობ. რატომ უნდა შემიმცირდეს ნაკრებში გამოძახების შანსი? მთავარია, სტაბილურად ვითამაშო კლუბში და ვიყო ფორმაში, რათა ნაკრებსაც გამოვადგე. ნებისმიერ ფეხბურთელს სურს ეროვნული ნაკრებისთვის ყველაფრის გაღება.

# კლოპმა რობერტო ფირმინო შეაქო



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ბრაზილიელი თავდამსხმელი რობერტო ფირმინო შეაქო. სტოკ სიტისთან მოგებულ შეხვედრაში ფირმინომ ლამაზი გოლი გაიტანა.

– რობერტო ძალიან კარგად მუშაობს ვარჯიშებზე და მისი ასეთი თამაშიც ვარჯიშებზე შრომის დამსახურებაა. ვფიქრობ, თავის პოზიციაზე ის ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში. სტოკ სიტისთან თამაშით კმაყოფილი ვარ, რაც მთავარია, ჩვენ დამაჯერებელი გამარჯვება მოვიპოვეთ, – განაცხადა იურგენ კლოპმა.




ლივერპული 18 ტურის შემდეგ ინგლისის ჩემპიონატში მე-2 ადგილს იკავებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# მარსიალის აგენტმა სევილიის ინტერესი დაადასტურა




მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგი ფეხბურთელის ენტონი მარსიალის აგენტმა დაადასტურა ის, რომ ესპანური სევილია მისი კლიენტის მიმართ ინტერესს იჩენს. გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ თვითონ მარსიალი სერიოზულად ფიქრობს სევილიაზე და არ არის გამორიცხული, ეს ტრანსფერი უკვე იანვარშივე განხორციელდეს.

მარსიალის აგენტს ტრანსფერის ფასზე არ უსაუბრია, მაგრამ, სავარაუდოდ, სევილიას მარსიალის ყიდვა ძალიან ძვირი დაუჯდება, რადგან თვითონ მანჩესტერმა მარსიალი მონაკოდან 70 მილიონ ევროდ იყიდა.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# სიმეონე ატლეტიკოდან წასვლას არ აპირებს

მადრიდის ატლეტიკოს მთავარი მწვრთნელი დიეგო სიმეონე სეზონის ბოლოს გუნდს არ დატოვებს. ის ატლეტიკოში კონტრაქტის ბოლომდე, 2018 წლამდე დარჩება, შემდეგ კი შესაძლოა იტალიურ ინტერს ჩაუდგეს სათავეში.

თვითონ სიმეონე ჯერჯერობით ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებს და ამბობს, რომ ჯერ არ გადაუწყვეტია, სად იმუშავებს ატლეტიკოს შემდეგ.

არგენტინელი სპეციალისტი ატლეტიკოში



2012 წელს მივიდა და გუნდი ესპანეთის ჩემპიონი გახადა.

სიმეონეს ხელმძღვანელობით ატლეტიკო ორჯერ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში, მაგრამ ორჯერვე მარცხი იწვნია მადრიდის რეალთან.



# სუ-ჯოკთერაპიაში სამკურნალოდ ხორბლის მარცვლების გამოიყენება

ეკა ირემაშვილი

სუ-ჯოკთერაპია აკუპუნქტურის ულტრათანამედროვე მიმართულებაა, რომელიც აღმოსავლეთ მედიცინის უძველესი და ევროპის უახლესი მიღწევების ნაერთია. სუ-ჯოკთერაპიის შემქმნელია კორეელი პროფესორი პაკ ბუ. სუ ნიშნავს – მტევანს, ჯოკ – ტერფს. „სუ-ჯოკ" აკუპუნქტურის ძირითადი უპირატესობაა სწრაფი და ძლიერი ეფექტი, რომელიც წამლების გარეშე მიიღწევა.

ამ მეთოდის საშუალებით სპეციალისტები მკურნალობენ ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებებს, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, სასუნთქ ორგანოთა, შარდსასქესო სისტემის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ძვალსახსროვანი სისტემის დაავადებებს, ქალის სასქესო ორგანოების ანთებით დაავადებებს, მავნე ჩვევებს, მათ შორის თამბაქოს წევას...

რამდენად უსაფრთხო და შედეგიანია სუ-ჯოკთერაპია „ახალ თაობას" ექიმი სუ-ჯოკ თერაპევტი ლევან სამხთუაშვილი ესაუბრა.

**ლევან სამხთუაშვილი:**

– სუ-ჯოკ თერაპიის მეთოდი შეიქმნა 30 წლის წინ სამხრეთ კორეაში. სეულის ნაციონალური უნივერსიტეტის პროფესორმა პაკ ვუმ აღმოაჩინა, რომ ადამიანის სხეული ძალიან ჰგავს ხელის მტევანს – შუა თითი და არათითი არის ფეხები, ნეკა თითი და საჩვენებელი თითი ხელები, ხოლო ცერა თითი – თავი. რაღაც წერტილი ხელის მტევანზე შეესაბამება გარკვეულ ორგანოს სხეულზე. ამ აღმოჩენის შემდეგ პროფესორმა საფუძვლიანად შეისწავლა მეთოდი, სხეულში გაიხსნა სუ-ჯოკ აკუპუნქტურის პირველი ინსტიტუტი და ბევრი ექიმი ამ მეთოდს დაეუფლა. თანდათან იგი ავითარებდა მეთოდის მეცნიერულ და სამედიცინო მიმართულებებს. მეთოდი ლოგიკური და მაღალეფექტურია, რითაც ბევრი სპეციალისტის ყურადღება მიიპყრო. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სხვადასხვა ნაციონალობის



და პროფესიის ადამიანებმა მიიღეს საოცარი შედეგები მძიმე დაავადებების მკურნალობის დროს.

სუ-ჯოკ თერაპიის მეთოდი მოქმედებს არა მარტო ფიზიკურ, არამედ მენტალურ და ემოციურ დონეზე, ეფექტურია ექსტრემალურ სიტუაციაში. არის მარტივი და ეკონომიური, არ საჭიროებს ბევრ დანახარჯსა და დამხმარე მოწყობილობებს, ძვირადღირებულ აპარატურას და მედიკამენტებს.

***– რამდენად უსაფრთხოა სუ-ჯოკ თერაპიის მეთოდი?***

– მეთოდს აქვს ფართო გამოყენება და უკუჩვენება არ გააჩნია. ვინაიდან ჩვენ ყოველდღიურად ვახდენთ მტევნისა და ტერფის ბუნებრივ სტიმულაციას, რაც ჩვენი ჯანმრთელობის შენარჩუნების საშუალებას გვაძლევს.

ფიზიკურ სხეულში დაავადება ვითარდება მერიდიანებში, ჩაკრებში, ზონალურ ანუ სპირალურ ენერგეტიკულ სისტემებში მდებარე ენერგეტიკულ არხებში ენერგიის ნაკადის რაოდენობის შეცვლით. როდესაც ენერგია ჭარბია, ხდება შეგუბება და წარმოიქმნება პირობები მწვავე ანთებითი პროცესებისთვის და ვითარდება ორგანოს და ორგანოთა სისტემების ფუნქციის მომატება. ენერგიის დეფიციტი აქვეითებს მეტაბოლიზმის პროცესებს, იწვევს ორგანოების, ორგანოთა სისტემების ფუნქციის დაქვეითებას, რასაც მივყავართ ქრონიკული დაავადებების განვითარებისკენ.

მეთოდს ახასიათებს ძალიან სწრაფი სამკურნალო ეფექტის მიღება. სწორი გამოყენების შემთხვევაში გვერდით მოვლენებს ადგილი არ აქვს, გამოირჩევა აბსოლუტური უმტკივნეულობით და მაღალი ეკონომიურობით. ყოველივე ზემოთ თქმული განსაკუთრებით ეფექტურია ტკივილის სინდრომის მოსახსნელად.

სუ-ჯოკში კლასიკურად ნემსები იხმარება, მაგრამ მამაჩემმა ასევე სუ-ჯოკ თერაპევტმა ანდრო სამხთუაშვილმა აღმოაჩინა, რომ ხორბლის მარცვლები საოცარ ენერგეტიკას ფლობს. ჩვენ მკურნალობის კურსში ნემსებთან ერთად ხორბლის მარცვლებსაც ვიყენებთ.

***– პაციენტი თქვენთან კონკრეტული დიაგნოზით მოდის?***

– სუ-ჯოკი რაღაც დონეზე დიაგნოსტირების საშუალებას გვაძლევს, თუ არადა, ვაგზავნით კვლევებზე. ძირითადად პაციენტები დიაგნოზით მოდიან, ეს დამატებით კვლევას აღარ საჭიროებს და ვიწყებთ მკურნალობას.

***– შეიძლება რომ თქვენმა მკურნალობამ ავნოს პაციენტს?***

– მედიცინის პირველი კანონია – არ ავნო. შეიძლება ვერ უშველო პაციენტს, მაგრამ არ უნდა ავნო. ამ მეთოდში ეს წესი ზედმიწევნით არის გათვალისწინებული. ყველაზე დიდი შეიძლება ის მოხდეს, რომ არასწორი სქემა შეადგინო და შედეგი ვერ მიიღო. ვნებით კი, ძალიანაც რომ მოინდომო, ვერანაირად ვერ ავნებ.

ჩვენთან ვინც მოდის, ყველასთან გაუმჯობესებები არის. შეიძლება პაციენტი პირველივე კურსზე სრულად ვერ გამოჯანმრთელდეს, მაგრამ შედეგი აუცილებლად იქნება. ყველა ორგანიზმი ერთნაირი ხომ არ არის? გვქონია შემთხვევებიც, რომ მაშინვე გაუმჯობესებულა პაციენტის მდგომარეობა. ასთმიანი პაციენტი გვყავდა და რამდენიმე ვიზიტის შემდეგ ინჰალატორი აღარ სჭირდებოდა. სამწვერა ნერვის ანთებით მოვიდა პაციენტი, რომელსაც ჭამა უჭირდა, წყალს ვერ სვამდა, მეექვსე ვიზიტზე კი უკვე საგრძნობლად გაუმჯობესდა მისი მდგომარეობა.

***– რამდენია თქვენთან ვიზიტის მაქსიმალური ზღვარი?***

– მაქსიმუმ ათი ვიზიტი, გამონაკლის შემთხვევაში 12 ვიზიტი დავგეგმოთ. გვირჩევნია შევწყვიტოთ, რაღაც პერიოდი გავიდეს და მერე ისევ გავიმეოროთ კურსი. უამრავ დაავადებას კურნავს სუ-ჯოკ თერაპია. ეს არის XXI საუკუნის მედიცინა. პირველ რიგში იმიტომ, რომ არის ეკოლოგიურად სუფთა, არ არის მტკივნეული, არ არის ძვირადღირებული, არ აქვს უკუჩვენება. ბევრი მიზეზის ჩამოთვლა შეიძლება.

***– ასაკი შეზღუდული გაქვთ?***

– ასაკი ჩვენთან შეზღუდული არ არის, მაგრამ ძალიან პატარა ასაკის ბავშვებს არ ვიღებთ.

მთავარია ყველას ახსოვდეს, რომ ეს ადამიანს არ შეუქმნია, ეს უბრალოდ სუ-ჯოკის ავტორმა აღმოაჩინა. რადგან ეს არის ღვთის მიერ შექმნილი სამკურნალო სისტემა, ეს არის სრულყოფილება, იმიტომ, რომ ღვთის ქმნილებაა. დაარსების დღიდან ვითარდება და მომავალშიც სუ-ჯოკი აუცილებლად განვითარდება. ამის დასტურია ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციები, სემინარები, ახალ-ახალი კვლევები და სიახლეები. ჩვენ ადამიანების ჯანმრთელობას ვემსახურებით. დაიმახსოვრეთ, ექიმი მკურნალობს, მაგრამ კურნავს ღმერთი. ჩვენც, ჩვენი მხრივ, მაქსიმუმს ვაკეთებთ.

## ნარკოდამოკიდებულებისგან განთავისუფლებულმა ქალმა საკუთარი ფოტო გამოაქვეყნა




ამერიკის არიზონას შტატის მცხოვრებმა ქალბატონმა გამოაქვეყნა ფოტოსურათები, რომლებიც გადაღებული იყო მანამდე, სანამ ნარკოტიკების მომხმარებელი იყო და ასევე მას შემდეგ, რაც ამ მავნე ჩვევისგან განიკურნა.

დეია ჰოლმა 17 წლის ასაკიდან დაიწყო ტკივილგამაყუჩებელი წამლების მიღება, რის შემდეგაც ჰეროინისა და მეტამფეტამინის მიღება დაიწყო. გოგონას თქმით, მაშინ ეჩვენებოდა, რომ აკრძალული პრეპარატები მას თავდაჯერებულობას მატებდა და უფრო მიმზიდველსაც ხდიდა.

26 წლის ჰოლი ნარკოდამოკიდებულებისგან ოთხი წლის წინ განიკურნა. იმისთვის, რათა ეს მოვლენა ეზეიმა, გოგონამ გადაწყვიტა გამოექვეყნებინა ფოტოსურათები, რომლებიც ხუთი წლის წინ იყო გადაღებული და ასევე თავისი უკანასკნელი სელფი და ეს ისე გაეკეთებინა, რომ საკუთარი გარეგნობის შედარება მომხდარიყო. გოგონამ ფოტოსურათები ფეისბუქში გამოაქვეყნა. მან ასევე აღნიშნა, რომ ნარკოდამოკიდებულებისგან განკურნება დაპატიმრების შემდეგ გადაწყვიტა.

კალეიდოსკოპი

## ყველაზე ასაკოვანი სუროგატი დედა ბერძენი ქალი გახდა



საბერძნეთის მცხოვრები ქალბატონი მსოფლიოში ყველაზე ასაკოვანი სუროგატი დედა გახდა, მან ბავშვი საკუთარ შვილს გაუჩინა, რომელიც ვერ ფეხმძიმდებოდა.

ანასტასია ონტოუმ 67 წლის ასაკში საკეისრო კვეთით გააჩინა საკუთარი შვილიშვილი. გოგონა ვადაზე ექვსი კვირით ადრე დაიბადა და 1,2 კილოგრამს იწონიდა.

ონტოუმ თავის შვილს დახმარება მას შემდეგ შესთავაზა, როდესაც დაფეხმძიმების შვიდივე მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. საბოლოოდ გოგონას ექიმებმა უნაყოფობა დაუდგინეს. 43 წლის კონსტანტინამ აღიარა, რომ თავიდან, როდესაც დედის შეთავაზება მოისმინა, გადაწყვიტა, რომ ის ჭკუიდან შეიშალა.

ექიმმა კონსტანტინოს პანტოსმა, რომლის მეთვალყურეობის ქვეშაც მიმდინარეობდა ფეხმძიმობა, თავის პაციენტს გმირი უწოდა.

– მე უფრო მეტად თავს ბებიად ვგრძნობ, ვიდრე დედად, – განაცხადა ანასტასიამ.

გინესის რეკორდების წიგნის თანახმად, ონტოუმდე ყველაზე ასაკოვან სუროგატ დედად მარია დელ კარმენ ბუსადა ლარა ითვლებოდა. ის 66 წლის და 358 დღის იყო, როდესაც იმშობიარა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ასტროპროგნოზი

29 დეკემბრისათვის



**ვერძი** – პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **ტყუპები** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს. **ქალწული** – მშობლებისა და ბავშვების მიმართ მეტი ლოიალობა გამოიჩინეთ. ეს დღე ერთგვარი გამოცდა იქნება. **სასწორი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ღრიანკალი** – დაისვენეთ და გაერთეთ მშვიდ გარემოში. საღამოს საინტერესო ახალ ამბავს გაიგებთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ბოდიშიც მოიხადეთ. დათმობა, მიმტევებლობა, ლოიალობა დღის დევიზია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. საგნის ზუსტი განსაზღვრა, დახასიათება, მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით; 2. ძვირფასი ლითონების წონის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 3. პამიდვრით, ბადრიჯნით მომზადებული ცხვრის ხორციანი წვნიანი კერძი; 4. მონღოლ დამპყრობელთა სახელწოდება ძველად საქართველოში; 5. საგაზეთო პუბლიკაცია; 11. მდინარის, გზატკეცილის ქვემოთ გაყვანილი წყალგამტარი მილი; 12. პოპულარული კლიმატური კურორტი ლიტვაში; 14. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 16. ურუგვაის ნაკრებისა და „ბარსელონას" ფეხბურთელი; 17. ქარის მიმართულების მაჩვენებელი მეტეოროლოგიური ხელსაწყო; 19. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი; 21. კომბინაცია პოკერში; 22. იაპონური ავტომობილი.

**თარაზულად:** 6. ორგანიზმის მემკვიდრეობისა და ცვალებადობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 7. მამაკაცის ძალიან წვრილი, ქალისებრი ხმა; 8. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 9. სისხლნაკლებობა; 10. მტრედის ბარტყი; 13. ფრანგი მწერალი; 15. ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ჯიში; 18. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 20. ბილიარდის მაგიდის ნაწილი; 21. „ფორმულა-1"-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 23. სამეცნიერო საკითხებზე გამართული საერთაშორისო კონფერენცია; 24. ქალაქის თვითმმართველობის შენობა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბობი; 2. „კრუპი"; 3. ბრაილი; 5. ტენგე; 6. მალაიზია; 8. კონსილიუმი; 10. ლიქიორი; 12. პარტერი; 14. აპნისი; 15. რაბინი; 16. „სქური".

**თარაზულად:** 1. ბესიკი; 4. ატაკამა; 7. პრუსია; 9. ლაზები; 11. ენერგია; 12. პრობაცია; 13. გიტარა; 17. კაპელა; 18. გურუ; 19. ბრუქსიზმი; 20. ცილინდრი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჰიპოლოგია; 2. „ბორჯომი"; 3. ჯიბუტი; 4. კრიკი; 5. ელინგი; 11. შურთხი; 12. სუმიდა; 14. საკე; 16. ბოდრუმი; 17. სმეტანა; 19. რუსტიკა; 21. ქორქი; 22. „ლაკმე".

**თარაზულად:** 6. სილიკოზი; 7. „გურიელი"; 8. კრონა; 9. ალონსო; 10. „ტვიში"; 13. კიქსი; 15. აბასთუმანი; 18. „დიადორა"; 20. მწდე; 21. ქურუმი; 23. დისლოკაცია; 24. ნაზუქი.

# 7 უნიკალური გრავიურა ხელოვნების სასახლეს გადაეცა



საქართველოს ხელოვნების სასახლემ მორიგი საჩუქარი მიიღო. ხელოვნების სასახლეს მუზეუმის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარემ არჩილ გელოვანმა საქართველოსთან დაკავშირებული შვიდი უნიკალური გრავიურის სამუზეუმო ასლები საჩუქრად გადასცა.

გრავიურებს შორისაა თბილისის 1838 წელს პარიზში დაბეჭდილი ხედი. მხატვარ მიკეშინის მიერ შექმნილი ქართველთა ეთნოგრაფიული ტიპები და დ. ფერარიოს მიერ 1818 წელს დაბეჭდილი ქართული ნაციონალური კოსტიუმები.

თუმცა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მეფე თეიმურაზის 1761 წელს გამოცემული უნიკალური გრავიურა. აღნიშნული ხელოვნების ნიმუში რუსეთის იმპერატრიცას ბრძანებით სულ რამდენიმე ცალად დამზადდა. სამწუხაროდ, მეორე მსოფლიო ომის დროს ოფორტი დაიღუპა და ამიტომაც თეიმურაზის გრავიურა დიდ რარიტეტულ იშვიათობად იქცა.

არჩილ გელოვანის მიერ მუზეუმისათვის გადაცემული საჩუქარი ადგილს ხელოვნების სასახლის რარიტეტულ განყოფილებაში დაიმკვიდრებს.

# ეროვნულ არქივში ქართული დიაფილმის გამოფენა გაიხსნება




29 დეკემბერს ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზში გაიხსნება გამოფენა „ქართული დიაფილმი", რომელიც ქართული დიაფილმის შექმნისა და განვითარების ისტორიას ასახავს.

დამთვალიერებელს საშუალება ექნება იხილოს 60-მდე ქართული დიაფილმის ორიგინალი ნახატი და ელექტრონული ვერსია, შემოქმედებითი ჯგუფისა და დიაფილმების დამზადების პროცესის ამსახველი ფოტოები და კინომასალა, ასევე ტექნიკური საშუალებები, რითაც იქმნებოდა დიაფილმები.

ბოლო ორი წელია, ეროვნული არქივი კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივი ქართული დიაფილმების მოძიებაზე მუშაობს, შედეგად, შეიქმნა ქართული დიაფილმების კოლექცია, სადაც 130 დასახელების ფილმი შედის. ამასთან, 2016 წელს ეროვნულმა არქივმა კერძო კოლექციონერებისაგან შეიძინა დიაფილმების ორიგინალი ნახატები – 26 დასახელების დიაფილმის 1150 ორიგინალი ნახატი.

გამოფენის ფარგლებში საქართველოს ეროვნული არქივი წარმოადგენს დიაფილმების ორიგინალი ნახატებიდან შექმნილ 2017 წლის კალენდარს.

# მსახიობი ზაზა ქაშიბაძე გარდაიცვალა



მსახიობი და რადიოჰოლდინგ „ფორტუნას" ხმად წოდებული ზაზა ქაშიბაძე გარდაიცვალა.

მსახიობი მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა. ის ახმეტელის თეატრის მსახიობი იყო დაარსების დღიდან და რადიოჰოლდინგის „ფორტუნა" უცვლელი ხმა, პროდაქშენ ჯგუფის ყოფილი ხელმძღვანელი და სამხატვრო რედაქტორი.

რადიოსფეროში მოღვაწეობის გარდა, ზაზა აქტიური სამსახიობო კარიერით იყო დაკავებული. მონაწილეობა აქვს მიღებული ფილმებში „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში", „გამოცხადება", „მოკვეთილი", „სამი სახლი".

მისი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი არის ფილმი „ფარაჯანოვი", რომელიც უკრაინის, საქართველოს, სომხეთისა და საფრანგეთის კინემატოგრაფთა ერთობლივი ნამუშევარია.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

შპს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, ინსტიტუტის თანამშრომლის, ჯული იოსელიანის დედის და ხატია იოსელიანის ბებიის, ქალბატონ

**რუსუდან არსენის ასული დავითაშვილის**

გარდაცვალებას და ვუსამძიმრებთ ოჯახის ნათესავებსა და ახლობლებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ჩინელმა გოგონას ხელი ბოთლებით სთხოვა



ჩინეთის პროვინცია შანსის მცხოვრებმა უამრავი სოიოს რძის ბოთლისგან გიგანტური გული გამოსახა, რათა მისი დახმარებით ეთხოვა ხელი თავისი შეყვარებულისთვის.

გულის გამოსახატავად ახალგაზრდა ჩინელს 1,5 ათასამდე ბოთლი დასჭირდა. ნაცნობების დახმარებით ისინი ასფალტზე ისე განალაგა, რომ გულის ფორმა მიეცა. ამ მოვლენის ამსახველ ვიდეოზე ჩანს, რომ ამ უჩვეულო გულის სანახავად უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი.

როდესაც გული მზად იყო, ახალგაზრდამ მეგობარი გოგონა ადგილზე მიიყვანა და ჰკითხა, გახდებოდა თუ არა მისი მეუღლე. გოგონამ თანხმობით უპასუხა.

# თავშესაფრის ცხოველებს შობა მიულოცეს და სათამაშოები აჩუქეს



ამერიკის აიოვას შტატში ადგილობრივი თავშესაფრის ბინადარ ცხოველებს შობა მიულოცეს და სათამაშოები მიუტანეს. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიზეა გამოქვეყნებული და უკვე 48 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

როგორც ვიდეოსთვის თანდართულ კომენტარშია აღნიშნული, ცხოველებისთვის სათამაშოები იყიდეს იმ ფულით, რომელიც შემოწირულობის სახით მიიღეს.

# საშობაო საჩუქრით აღფრთოვანებულ ამერიკელს კატა თავს დაესხა



ამერიკის ჯორჯიის შტატის მცხოვრებს, რომელმაც თავისი საშობაო საჩუქარი გახსნა, თავს კატა დაესხა. მომხდარის ვიდეოჩანაწერი ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა ჯესიკა ფრიმენმა. ვიდეორგოლმა ორ დღეში 76,5 მილიონზე მეტი ნახვა მოაგროვა.

როგორც ვიდეორგოლის კომენტარშია აღნიშნული, მამაკაცი, რომელსაც, სავარაუდოდ, ენდრიუ ვუდარდი ჰქვია, იძულებული გახდა, დასახმარებლად ექიმისთვის მიემართა.

# შოტლანდიელებს თევზისკუდიანი ლომი არ მოეწონათ



მრავალფეროვანი ლომის ქანდაკებამ, რომელსაც თევზის კუდი აქვს, ხოლო თავზე ცილინდრის ქუდი ახურავს, თათში კი ხელჯოხი უჭირავს, და რომელიც შოტლანდიის ქალაქ ელგინის ცენტრში დაიდგა, ადგილობრივების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.

ფოლადისა და მინაპლასტიკისგან შექმნილი სამმეტრიანი ქანდაკება მხატვარმა ვიკ კვინკლიმ შეკვეთით დაამზადა.

საოლქო საბჭოს წევრმა შონ მორტონმა ქანდაკებას „კულტურული საზიზღრობა" უწოდა და მისი ცენტრალური მოედნიდან აღება მოითხოვა.

– ვფიქრობ, ის სხვაგან უნდა იქნას გადატანილი, – განაცხადა მან, – ჩვენ, უბრალოდ, მისი გადაგდება არ შეგვიძლია, ვინაიდან იმ ქალმა დიდი სამუშაო შეასრულა.

ამ ქანდაკების მომხრეებიც კი ეთანხმებიან იმ აზრს, რომ მისი ადგილი ქალაქის ცენტრში არ არის, მიიჩნევს პოლიტიკოსი.

თავად მხატვარმა კი ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ კრიტიკოსების აზრი არ აღელვებს.

– ის ფაქტი, რომ ხალხი ქანდაკებაზე მსჯელობს, სიხარულს მანიჭებს, – განაცხადა კვინკლიმ, რომლის თქმითაც, თევზისკუდიან ლომში შემთხვევითი არაფერია და მისი გარეგნობა პირდაპირ უკავშირდება ქალაქის ისტორიას.

# უცნობ მექსიკელს ათასობით ადამიანი ესტუმრა დაბადების დღეზე



ათასობით ადამიანი მივიდა დაბადების დღის აღსანიშნავად უცნობ 15 წლის გოგონასთან, რომელიც მექსიკის სან-ლუისი-პოტოსიში ცხოვრობს. ეს კი მას შემდეგ მოხდა, როდესაც მისმა მიწვევამ ვირუსული პოპულარობა მოიპოვა.

დეკემბრის დასაწყისში რუბი იბარა გარსიას მშობლებმა ინტერნეტში გამოაქვეყნეს ვიდეო, რომელიც მოუწოდებდა ყველას, მიეღოთ მონაწილეობა ზეიმში. სტუმრებს ჰპირდებოდნენ გამასპინძლებას, ცოცხალ მუსიკას და დოლს, რომლის გამარჯვებული 10 ათას პესოს (დაახლოებით 500 დოლარი) მიიღებდა.

მალე ეს მიწვევა ნახევარმა მექსიკამ ნახა. მან დაახლოებით 800 ათასი ნახვა მოაგროვა და ბევრი მიბაძვაც წარმოიშვა.

რუბის დაბადების დღეზე ალაპარაკდა ტელევიზია. მიწვევის პაროდირება განახორციელა მექსიკელმა მსახიობმა გაელ გარსია ბერნალმა. დღესასწაულზე მისვლის სურვილი გამოთქვეს პოპულარულმა მუსიკოსებმა ლარი ერნანდესმა და ელ კომანდერმა.

უბერმა ტაქსით მგზავრობაზე ფასდაკლება შემოიღო გოგონას სახელის გამოყენების შემთხვევაში. ავიაკომპანია ინტერჯეთმა სან-ლუისი-პოტოსიში ფრენებზე შემოიღო რეკლამა სლოგანით „მიფრინავთ რუბის დაბადების დღეზე?"

ძრავის ზეთის კასტროლის რეკლამაზე გამოსახეს შოსე ორი მაჩვენებლით, ერთი მიესალმება შტატის სან-ლუისი-პოტოსის სტუმრებს, მეორე კი აჩვენებს, თუ როგორ მივიდნენ რუბის დაბადების დღეზე.

ფეისბუქში ზეიმში მონაწილეობაზე 1,2 მილიონი ადამიანი ჩაეწერა. რამდენიმე ათასმა პირობა შეასრულა. რუბის ოჯახი სტუმრების მოზღვავებისთვის მოემზადა და ათეულობით მაგიდა და კარავი დადგა სხვადასხვა სასუსნავებით. დღესასწაულის მთავარი მოქმედი პირი, რუბი პირადად ესალმებოდა ყველა სტუმარს.

ერთ-ერთ ინტერვიუში გოგონას მამამ განაცხადა, რომ არ ესმის, მიწვევამ რატომ გამოიწვია ასეთი აჟიოტაჟი. მისი თქმით, ისინი ფიქრობდნენ, რომ ვიდეოს მხოლოდ მეგობრები და მეზობლები ნახავდნენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# პროგრამა

**ხუთშაბათი 29 დეკემბერი**

**07.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "წიგნების თარო" **14.30** "ფერმა" **15.00, 02.30** "x სტუდია" **17.00** "რეალური სივრცე" **19.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.30** "ვექტორი" **23.00** "უცნობი მუსიკა" **00.30** მხ/ფ "**გულები**"

**08.00, 14.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **09.00, 17.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **10.00** "გეოფაქტორი" **10.20** მხ/ფ "**სიყვარული თუ ფული**" **12.00** ტ/სერ. "**დომბე და ვაჟი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**უკანასკნელი საზღვარი**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** გრიფით საიდუმლო **00.00** მხ/ფ "**როგორ გადავაგოროთ შობა**" **02.00** მხ/ფ "**დაუჯერებელი სიყვარული**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქროს გალია**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **23.00** პროფილი **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "ავატარი" **9.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**ინტერესის ობიექტი**" **0.00** მხ/ფ "**მწვანე შუქურა**" **2.10** მხ/ფ "**პრეზიდენტის თვითმფრინავი**"

**06.15** სჯანი-"დედამიწის გარე ცივილიზაციები" **06.30** პატერიკი-"მოწყალე ერისკაცის შესახებ" **06.35** დ/ფ "საახალწლო წეს-ჩვეულებები" **07.25** ქართული ალბომი **07.50** განთიადის სიუჟეტი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**თეთრი ქარავანი**" **13.30** კონცერტი "ბოჩელი, ფოსტერი" **14.00** გამოყენებითი ხელოვნება "მინიატურა სპილენძით" **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართული ან/ფ **15.30** ტრაპეზი "საახალწლო" **15.50** კონცერტი "თეატრალური კოლექტივები" **17.00** ქრისტიანული ხელოვნება "თანამედროვე ქართული ტიხრული მინანქარი" **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ძველი ჰანგები "ცისფერი ტრიო" **20.40** პორტრეტები "ლადო ათანელი" **20.40** ძილი ნებისა "იყო ერთი თაგუნა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფუტკრეობაზე **21.30** დიდ ხარ შენ უფალო..."იაკობი" **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** ქრისტიანული სწავლება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** დეკორატიული ფლორა **00.25** ისტორიის დღიური **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 1.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **10.00** სერ. "**ქალბატონი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 2.00** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**მორიგე ექიმი**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "მიცანი, თუ შეძლებ" **21.55** სერ. "**გემი**" **22.40** სერ. "**სტანიცა**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


29 დეკემბრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6683

ევრო — 2.7889

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2729

100 რუსული რუბლი — 4.3851

## ამინდის პროგნოზი 29 დეკემბრისთვის





## 20 დეკემბრიდან

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები



ემილ ზოლა

ქალთა ბედნიერება

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

## 22 დეკემბრიდან

ძმები გრიმები

წითელქუდა



მაგარი ყდა.
64 ფერადი გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 29 დეკემბრიდან

ჰანს კრისტიან ანდერსენი

პატარა სირინოზი



მაგარი ყდა.
64 ფერადი გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## კაილი ჯენერი ეროტიკულ ვიდეოში გადაიღეს



ცნობილი ტელევარსკვლავის კიმ კარდაშიანის დამ კაილი ჯენერმა მონაწილეობა მიიღო ვიდეოს გადაღებაში, რომლისთვისაც ის ნახევრად შიშველი პოზირებდა. ვიდეორგოლი ვიდეოჰოსტინგ ვიმეოზე გამოქვეყნდა და ის უკვე 273 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

19 წლის მოდელს ლოს-ანჯელესელი ფოტოგრაფი საშა სამსონოვი უღებდა. ასევე პროექტში მონაწილეობას იღებდა რეპერი ტუგა, რომელთანაც ჯენერს ახლო ურთიერთობა აქვს.

## იუმორი



ქალი და კაცი ლოგინში წვანან. ქალი ეუბნება:

– ძვირფასო, ბოდიში, სადილობის დროს ბევრი ხახვი ვჭამე და ალბათ საშინელი სუნი ამდის.

– არა უშავს, არა უშავს, ჩიპოლინოსთან ღამის გატარება, თავშესაქცევიც კია.

●●●

ბოლო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ლუდში დიდი რაოდენობითაა ქალური ჰორმონები. სამი კათხა ლუდის შემდეგ, თქვენ ცუდად მართავთ მანქანას, ექვსი კათხის შემდეგ ყველაფერზე უაზროდ გეცინებათ, ხოლო 12 კათხის შემდეგ იძულებული ხართ, ჩაცუცქულმა დაიკმაყოფილოთ ბუნებრივი მოთხოვნილება.

●●●

ორი ქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– იმისთვის, რომ ქმარი სულ მახსოვდეს, მის ბარათს თან ვატარებ.

– აბა მანახე?

– მისი საკრედიტო ბარათია.

●●●

ბარში ახალგაზრდა მამაკაცი მაგიდასთან ზის და ლუდს სვამს. მასთან მომხიბვლელი ქალი მივიდა და ეუბნება:

– თუ გინდა, რომ დღეს კარგად დაისვენო, მე თიკუნა მქვია...

– და თუ კარგად დასვენება არ მინდა, მაშინ რა გქვია?

●●●

უნივერსიტეტის ერთი ლექტორი მეორეს ეუბნება:

– ერთ საყურადღებო დასკვნამდე მივედი.

– მართლა, აბა მითხარი.

– სამწუხაროდ, ცოლები ბერდებიან, აი მესამე კურსის სტუდენტი გოგონები კი არასოდეს!

●●●

ზოომაღაზიაში ქალი გამყიდველს ეკითხება:

– ეს მშვენიერი კატა დედალია თუ მამალი?

– რა, ყურებზე ვერ ატყობთ?

– ყურებზე? ვერა...

– კურდღელია, კურდღელი...

●●●

ინტერნეტში ბიჭი გოგოს წერს:

– შენი ფოტო ჩამიგდე საცვლებში.

– დაიცადე, საცვლებს ჩავიცვამ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 27 დეკემბრიდან

გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსი

თორმეტი კეისრის ცხოვრება




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## 30 დეკემბრის გაზეთი „ახალი თაობა“ 2017 წლის დიდი კალენდრით გამოვა







ფასი: 1 ლარი


## გურამ კაშიათი ესპანური ბეტისი დაინტერესდა



ქართველი ცენტრალური მცველით გურამ კაშიათი ესპანურიო ბეტისი დაინტერესდა, რომელმაც უკვე დაიწყო მოლაპარაკებები ვიტესის ქართველს მცველთან.

კაშია ამჟამად ვიტესის კაპიტანია და გუნდის შეცვლას არ აპირებდა, თუმცა, შესაძლოა, ბეტისს უარი არ უთხრას.

ალსანიშნავია, რომ ბეტისს ამჟამად საუკეთესო დრო არ უდგას და გუნდი ესპანეთის ჩემპიონატში მე-14 ადგილზეა, რაც ამ კლუბისთვის არცთუ კარგი შედეგია.

რაც შეეხება ვიტესს, კაშიას გუნდი 17 ტურის შემდეგ ჰოლანდიის ჩემპიონატში მე-8 პოზიციაზე იმყოფება.

კაშია ვიტესის ღირსებას 2010 წლიდან იცავს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ბრედ პიტი მის შვილებზე ინფორმაციის გავრცელების შეწყვეტას ითხოვს



ჰოლივუდის მსახიობი ბრედ პიტი მოითხოვს აიკრძალოს ანჯელინა ჯოლისთან განქორწინების პროცესთან დაკავშირებული საბუთების გავრცელება, რომლებიც ბავშვებსა და მათზე მეურვეობის საკითხებს უკავშირდება. იურისტებმა შესაბამისი მოთხოვნა მოსამართლეს გადასცეს.

საბუთში ამტკიცებენ, რომ ჯოლის მოქმედება ბავშვების პირადი ცხოვრების საიდუმლოებას არღვევს და მათ უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის. ადრე მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, მან საჯარო გახადა მათთან ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მომუშავე სპეციალისტების სახელები, მათ შორის მათი ფსიქოთერაპევტისაც.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოთხოვნაში ნათქვამია, რომ ანჯელინას არ აქვს თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც არ დაუშვებდა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაჟღერებას, ან სხვა მოტივები ამოძრავებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ღამის ფრინველი; 2. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდი; 3. ქართული ლუდი; 5. ამერიკელი ფიზიკოსი, მიკროჩიპისა და მიკროპროცესორის გამომგონებელი; 6. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 8. ციტრუსების მყნობისთვის გამოყენებული სამყურა ლიმონი; 10. ბრიტანეთის ძველი სახელწოდება; 12. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 14. ქართველ ქალთა ძველებური თავსაბურველი; 15. ყინულის ძველი ქართული სახელწოდება; 16. ანტონიო გაუდის მიერ დაპროექტებული პარკი ბარსელონაში.

**თარაზულად:** 1. ტიციან და გალაკტიონ ტაბიძეების მშობლიური სოფელი; 4. ფარული ხრიკები, საძრახისი მოქმედება, მიზნის მისაღწევად; 7. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 9. ქართული სათვისტომოს მამული პარიზის მახლობლად; 11. შიიტთა უმაღლესი სასულიერო პირი; 12. ოკეანეში მცურავი ყინულის მთა; 13. მთიანეთი აზიაში; 17. ძალიან სწრაფი მუსიკალური ტემპი; 18. იაპონური ბრინჯის არაყი; 19. პროფესიონალი მაბეზღარა, დამსმენი, შანტაჟისტი ძველ საბერძნეთში; 20. ფრანგი კომპოზიტორი, მოჭადრაკე, ჭადრაკის თეორეტიკოსი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

